პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 205 (9981) | კვირა, 29 აგვისტო, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში (1-ლი გვერდი).
საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).
სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე (1-ლი გვერდი).
ამხანაგო მეშახტეებო, მეტი ქვანახშირი — სამშობლოს! — ა. კარტოზია. — დიდი ამოცანები, ახალი პერსპექტივები. — ს. ხარაზიშვილი, ვ. ცირეკიძე. — თავდადება (მე-2 გვერდი).
ნ. ბარაბაშევი. — შესაძლებელია თუ არა სიცოცხლე სხვა პლანეტებზე? (მე-3 გვერდი).
ახალი სასწავლო წლის წინ (მე-3 გვერდი).
გ. ნიკოლაძე. — დამნაშავეები და მათი გულშემატკივრები (მე-3 გვერდი).
პ. გრინინი. — საერთაშორისო მიმოხილვა (მე-3 გვერდი).
საბჭოთა მთავრობის დელეგაციის [illegible] (4-ე გვერდი).
გერმანიის კომპარტიის გამგეობის ღია წერილი ბუნდესტაგის დეპუტატებისადმი (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მეშახტის დღე

დღეს ჩვენი დიადი ქვეყნის მშრომელები ზეიმით აღნიშნავენ სახელოვანი საბჭოთა მეშახტეების ტრადიციულ დღესასწაულს — მეშახტის დღეს. ამ დღის ყოველწლიურ თარიღად დაწესება მოწმობს საბჭოთა ადამიანების, ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მხრივ მეშახტეების შრომის მაღალ შეფასებას.

შრომა ჩვენს ქვეყანაში გარემოსილია საყოველთაო პატივისცემით, გადაქცეულია ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნილებად, ღირსების, სახელის, დიდების საქმედ. შრომაში ვლინდება მასების შემოქმედების დიადი ძალა, ვლინდებიან ტალანტები, იზრდებიან ნოვატორები, ტექნიკური პროგრესის შემოქმედნი. შრომისადმი ახალი, კომუნისტური დამოკიდებულების შედეგად წარმოიშვა და განვითარდა სტახანოვური მოძრაობა, თანამედროვეობის უძლეველი მოძრაობა, რომელსაც საფუძველი დაედო ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის მრეწველობის წამყვან რაიონში — დონბასში ცხრამეტი წლის წინათ და რომელიც შემდგომში სახალხო მეურნეობის ახალი აღმავლობის მძლავრ ბერკეტად იქცა.

წელს თავიანთ ტრადიციულ დღესასწაულს საბჭოთა მეშახტეები აღნიშნავენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ ჩვენი ქვეყნის მშრომელების წინაშე დასახული კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამის შესრულებისათვის საყოველთაოსახალხო ბრძოლის უმაგალითო წარმატების ვითარებაში. ამ ბრძოლაში საბჭოთა მეშახტეებს განსაკუთრებით დიდი, პასუხსაგები ამოცანები აკისრიათ. მათ უნდა უზრუნველყონ ქვანახშირის განუხრელად მზარდი რაოდენობით მოპოვება და ამით ჩვენი ეკონომიკის საფუძველთა საფუძვლის — მძიმე მრეწველობის შემდგომი სწრაფი აღმავლობა. ცნობილია, რომ მხოლოდ უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე შეიძლება საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა, ხოლო ამ უმაღლესი ტექნიკის განვითარების საფუძველი კი მძიმე მრეწველობაა.

ჩვენი მეშახტეები მოვალენი არიან მუდამ ახსოვდეთ დიდი ლენინის გენიალური ფორმულა, რომ „ქვანახშირი მრეწველობის პურია“, რომ ქვანახშირის მოპოვებაზე, ამ ძვირფასი საწვავით მრეწველობის უზრუნველყოფაზე დამოკიდებულია მძიმე მრეწველობის განვითარება, მაშასადამე, მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებაც.

დიდი ამოცანებია დასახული საბჭოთა მეშახტეების წინაშე. 1955 წლის ხოლოსათვის მათ ქვანახშირის ამოღება 1950 წელთან შედარებით უნდა გადადონ სულ ცოტა 43 პროცენტით, ხოლო კოქსადი ქვანახშირის ამოღება — 50 პროცენტით. კიდევ უფრო პასუხსაგები ამოცანების შესრულება ეკისრებათ საქართველოს მეშახტეებს, რომლებიც ქვანახშირით ამარაგებენ არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობას და ტრანსპორტს, არამედ მომმე მეზობლების — აზერბაიჯანისა და სომხეთის მრეწველობასა და ტრანსპორტსაც.

ჩვენი რესპუბლიკის ინდუსტრიული განვითარება ისეთი სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, რომ აუცილებელ საჭიროებად ხდება ასევე სწრაფი ტემპით განვავითაროთ ქვანახშირის მრეწველობა და საწვავზე ინდუსტრიის მზარდ მოთხოვნილებას ვუპასუხოთ ქვანახშირის მზარდი მოპოვებით.

ჩვენს რესპუბლიკაში ჯერჯერობით მიღწეული არ არის ქვანახშირზე მოთხოვნილებასა და ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას შორის შესაბამისობა. ამ შეუსაბამობის მიზეზია არსებული შახტების საპროექტო სიმძლავრეთა აუთვისებლობა. მაგალითად, შარშან საქართველოს ქვანახშირის მრეწველობაში შახტების საერთო საპროექტო სიმძლავრე ათვისებული იყო მხოლოდ 70 პროცენტით, ტყიბულქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის საპროექტო სიმძლავრე კი — 44,6 პროცენტით.

წელს ჩვენი მეშახტეები, განსაკუთრებით ამ ბოლო თვეებში, შარშანდელზე გაცილებით უკეთესად მუშაობენ. თუ 1953 წელს საქართველოს ქვანახშირის კომბინატმა სახელმწიფო გეგმა ვერ შეასრულა და ქვეყანას მრავალი ათეული ათასი ტონა ქვანახშირი დააკლო, წელს განვლილ 7 თვეში ქვანახშირის მოპოვების გეგმა შესრულებულია 101,3 პროცენტით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ამოღებულია 10,3 პროცენტით მეტი ქვანახშირი.

სასახელოდ მუშაობენ წელს ტყიბულელი მეშახტეები, რომლებმაც 22 აგვისტოს, ვადაზე 9 დღით ადრე შეასრულეს ქვანახშირის მოპოვების რვა თვის გეგმა. ივლისიდან შესაბამისად გაუმჯობესეს მუშაობა ტყვარჩელელებმა, რომლებმაც წლის პირველ ნახევარში სამშობლოს საგრძნობი რაოდენობით დააკლეს საწვავი. ტყვარჩელელებმა გადაწყვიტეს სექტემბრის პოლომდე დაფარონ წლის პირველი ნახევრიდან გადმოყოლილი დავალიანება და ტყიბულელებთან და ახალციხელებთან რესპუბლიკური პირველობისათვის შეჯიბრებაში სპატიო ადგილი მოიპოვონ. ბოლო ხანებში შეასუსტეს მუშაობის ტემპი ახალციხელმა მეშახტეებმა, რომლებიც ჩვენს სახალხო მეურნეობას ენერგეტიკული ქვანახშირით ამარაგებენ. მათს მუშაობას, ქვანახშირის მოპოვების გეგმების წარმატებით შესრულებას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის, ზამთარში საწარმოთა შეუფერხებელი მუშაობისათვის.

საქართველოს მეშახტეების პატრიოტული ღირსებისა და პროფესიული თავმოყვარეობის საქმეა ყველა ზომა მიიღონ ქვანახშირის ამოღების გასაადიდებლად, ზეგეგმითი ქვანახშირის მოსაპოვებლად. ამის შესაძლებლობა მათ აქვთ. საქართველოს ქვანახშირის საბადოებში მოიპოვება დიდძალი გამოუყენებელი რეზერვი. ციკლური გრაფიკი მეშახტეთა მაღალხაოფიერი შრომის ორგანიზაციის მეთოდია. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ გრაფიკით მუშაობა — ერთი ციკლი დღეღამეში — ქვანახშირის ამოღების პროცესს (თითქმის ორჯერ აჩქარებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შახტების საპროექტო სიმძლავრეების სრულად ათვისებას და არსებული საშახტო ტექნიკის ნაყოფიერად გამოყენებას. ჩვენს შახტებში ჯერ კიდევ არ არის განხორციელებული მთელი რიგი შრომატევადი პროცესების მექანიზაცია. საქართველოს ქვანახშირის კომბინატის, მისი ტრესტებისა და შახტების ხელმძღვანელებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ შრომატევადი პროცესების მექანიზაციის განსახორციელებლად.

გამოანგარიშებულია, რომ უახლოესი ხუთიოდე წლის განმავლობაში ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას დაჭირდება სულ ცოტა ორჯერ მეტი ქვანახშირი, ვიდრე ამჟამად სჭირდება. ასეთი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ამჟამად ექსპლოატაციაში მყოფი შახტებიდან, თუნდაც მათი საპროექტო სიმძლავრე სრულად იქნას ათვისებული, შეუძლებელი გახდება. ამიტომ საჭიროა ახალი შახტების მშენებლობის დაჩქარების საქმეს ჯეროვანი ყურადღებით მოეკიდონ ჩვენი შახტმშენებლები.

ახალი შახტების მშენებლობის გაჩაღებას აფერხებს საშახტე ველთა გამოკვლევისა და შესწავლის გაჭიანურება, საკვლევაძიებო სამუშაოთა დაბალი ტემპი, რაც იმას გვიკარნახებს, რომ საჭიროა მუშაობის ამ უბნების მიმართ ყურადღების გამახვილება, მდგომარეობის უმოკლეს დროში გამოსწორება.

მეშახტეებისა და შახტმშენებლების ამოცანაა კვლავაც ღირსეულად გაამართლონ მშრომელთა საყოველთაო ნდობა და სიყვარული, ის დიდი პატივისცემა, რომლითაც გარემოსილია მათი შრომა ჩვენს ქვეყანაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მეშახტის დღის აღსანიშნავად ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა მიწისქვეშა მუშების, სამთო ოსტატების, ქვანახშირის მრეწველობის და ქვანახშირის შახტების მშენებლობის ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა დიდი ჯგუფი. ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 1.320 კაცი, შრომის წითელი დროშის ორდენით — 2.355 კაცი. დანარჩენი მუშაკები დაჯილდოებული არიან მედლებით „შრომითი მამაცობისათვის“ და „შრომითი წარჩინებისათვის“.

1954 წლის 30 აგვისტოს საღამოს 8 საათზე საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში (მახარაძის ქ. № 8) მოწვეულია პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს მეორე პლენუმი შემდეგი დღის წესრიგით:

„ქ. თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და სოხუმის სამრეწველო საწარმოთა პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციებისა და კულტდაწესებულებების მუშაობის შესახებ მანქან-ტრაქტორთა სადგურებზე, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებზე შეფობის დარგში“.

პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭო

საბჭოთა საქართველოს დღე

★

საშემოდგომო პურეულის თესვა

დუშეთი, 28 აგვისტო. („კომუნისტის“ კორ.). რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში დაიწყო საშემოდგომო პურეულის თესვა. დუშეთის მტს-ის ტრაქტორისტებმა დ. ფილადაშვილმა, მ. ქელეხსაშვილმა და ა. ხისფხანშვილმა 45 ჰექტარი დათესეს ზაზალეთის, ჭილურტისა და მლაშის კოლმეურნეობებში.

წარმატებით მიმდინარეობს საშემოდგომო ხვნა. მტს-ის მექანიზატორებმა გეგმით გათვალისწინებული 5.000 ჰექტარიდან უკვე მოხნეს 3.600 ჰექტარი. ხვნაში დაწინაურდნენ ვ. ბოდაველის, ს. სანაშვილის ბრიგადები და ტრაქტორისტები დ. ისაშვილი, დ. მახარაშვილი, ა. მიღდისოვი.

მალე თესვა მასობრივად გაჩაღდება.

დაიწყო ყურძნის შერჩევითი კრეფა

სამტრესტის მარნეულის საბჭოთა მეურნეობაში ერთი კვირაა მიმდინარეობს სუფრის ყურძნის შერჩევითი კრეფა. დანიშნულებისამებრ გაიგზავნა ყურძნის პირველი პარტია — 12 ტონა.

მოსავალი კარგია, თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 100 ცენტნერი ყურძენი.

ხვალიდან აქ ყურძნის მასობრივ კრეფას შეუდგებიან.

სანატორიუმი ნავთობის მრეწველობის მუშაკთათვის

ჩვენი ქვეყნის განთქმულ კურორტს — წყალტუბოს ახლო მომავალში კიდევ ერთი ახალი ლამაზი შენობა შეემატება. აქ წელს სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „საქსახპროექტში“ შემუშავებული პროექტით, რომლის ავტორია არქიტექტორი ზ. მინდორაშვილი, დაიწყება მშენებლობა სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის სამინისტროს მუშაკთა ოთხსართულიანი სანატორიუმისა 150 დამსვენებლისათვის. ფასადი მოპირკეთდება ეკლარის ქვით და მდიდრულად გაფორმდება ქართული სტილით.

სანატორიუმს ექნება სამკურნალო კაბინეტები, სპეციალური საბანაობანი, ელექტროშუქით სამკურნალო, რენტგენის კაბინეტები, ლაბორატორიები. პირველ სართულში მოთავსდება კინოსაკონცერტო დარბაზი, სასადილო, საბილიარდო, სამკითხველო და სამკურნალო-ფიზკულტურული დარბაზი.

მშენებლობაზე წელს სამი მილიონი მანეთი დაიხარჯება.

ახმეტის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში წელს ვენახი კარგად დაამუშავეს და ყურძნის უხვ მოსავალსაც მოელიან. სურათზე: მევენახეობის ბრიგადირი მ. ხარიტონაშვილი (მარცხნიდან), კოლმეურნეები ი. ხარიტონაშვილი და გ. ბითოშვილი ამოწმებენ ყურძნის მტევნების „სიჯანსაღეს“.

ფოტო შ. გოქაძისა.

★

ტრაქტორისტების სოციალისტური შეჯიბრება

წითელწყაროს მტს-ში

ილო თარაშვილის სატრაქტორო ბრიგადა საშემოდგომო ხვნაზე სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობაში მუშაობს. მექანიზატორებს ვალდებულება ჰქონდათ აღებული მოეხნათ 900 ჰექტარი, ფაქტიურად მოხნეს 1.050. ხვნა გრძელდება. დაზოგილია 5,7 ტონა საწვავი.

სამუშაოთა გეგმების შესრულებაში წინ მიდიან ტრაქტორისტები ი. ქემაშვილი, ვ. სიმონიძე და სხვები. მათი გადაწყვეტილებაა საშემოდგომო პურეული მთლიანად ვიწრო მწკრივებად და ჯვარედინად დათესონ.

მცხეთის მტს-ში

ხვნა-თესვის წარმატებით ჩატარებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა მტს-ის № 3 ბრიგადა (ხელმძღვანელი ა. მამულაშვილი), რომელმაც უკვე გაანაღდა საშემოდგომო ხვნის დავალება. გეგმით გათვალისწინებული 355 ჰექტარის ნაცვლად მოხნულია 376 ჰექტარი. მექანიზატორებმა დაზოგეს 2.300 კილოგრამი საწვავი.

მუხრანელ და ნიჩბისელ კოლმეურნეებს მექანიზატორები ახლა სათესლე მასალის გაწმენდაში ეხმარებიან.

★

მეშახტის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა თბილისში

გუშინ, 28 აგვისტოს ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის საზაფხულო თეატრში შედგა მეშახტის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. სხდომას დაესწრნენ თბილისის საწარმოთა კოლექტივების წარმომადგენლები, ინჟინერ-ტექნიკოსები, საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის კომბინატის, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშაკები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. დ. ძიძიგურამ.

მეშახტეთა დღის მნიშვნელობისა და ჩვენი რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის განვითარების პერსპექტივების შესახებ საზეიმო კრებაზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს ქვანახშირის კომბინატის უფროსი ამხ. ა. კარტოზია.

საზეიმო კრების შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი.

მაღაროელებმა რვა თვის დავალება გაანაღდეს

ჭიათურა. („კომუნისტის“ საკ. კორ.). ჭიათურელმა მაღაროელებმა, რომლებიც ნიკოპოლელ თანამოძმეებს ეჯიბრებიან, ხუთი დღით ადრე, 26 აგვისტოს შეასრულეს მარგანეცის სასაქონლო მადნის გამოშვების რვა თვის გეგმა. წარმატებით მუშაობენ ლენინის, ორჯონიკიძისა და კაგანოვიჩის სახელობის მაღაროთა კოლექტივები.

ჭიათურელები მარგანეცს სექტემბრის დავალების ანგარიშში იძლევიან.

რუსთავის მეგალურგები საშუალო და უმაღლეს ტექნიკურ განათლებას იღებენ

რუსთავი, 28 აგვისტო. (საქდესი). სტალინის სახელობის ამერკოვკასიის მეტალურგიულ ქარხანასთან მოეწყო თბილისის მეტალურგიული ტექნიკუმის საღამოს განყოფილება.

ტექნიკუმში მისაღები გამოცდები წარმატებით ჩაბარეს ბლუმინგის საამქროს ზოდების საწყობის ბრიგადირმა შ. ბოკერიამ, მიღდასამზადებელი საამქროს მორიგე ზეინკალმა გ. სარალიძემ, გამოსაყვან-სამსხმელო საამქროს ტექნიკური კონტროლის განყოფილების კონტროლიორმა კ. ლობჟანიძემ, საბრძმედე საამქროს მუშამ ა. ნოზაძემ და საწარმოს ბევრმა სხვა მუშამ.

შარშანდელზე სამჯერ მეტი განცხადება შეიტანეს მეტალურგებმა საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზეც. მისი ფილიალი, რომელიც წელს შეიქმნა რუსთავში, ახალ კეთილმოწყობილ შენობაში გადავიდა.

მიმდინარე წელს ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე მიიღებენ 120 ახალ სტუდენტს.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

„მარცვლეულის“ პავილიონის ახლოს ღია მოედანზე, სადაც ექსპონირებულია მარცვლეული კულტურების მოსაყვანი სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მექანიზატორთა ჯგუფმა ინტერესით დაათვალიერა კომბაინი „სტალინეც-6“, რომელსაც გაკეთებული აქვს ე. კომპანეიცის სამარჯვი სიმინდის ასალებად.

— დნეპროპეტროვსკელმა ნოვატორმა კომბაინერმა ე. კომპანეიცმა, — ამბობს ექსკურსიამძღოლი, — შარშან თავის კომბაინ „სტალინეც-6“-ით 385 ჰექტარი პურეული აიღო. შემდეგ მან აგრეგატს გაუკეთა თავისი სამარჯვი და იმავე კოლმეურნეობაში აიღო 85 ჰექტარი სიმინდი. კომბაინი ჭრის სიმინდს, აცლის ტაროს, ხოლო ღეროს წვრილად ჭრის სასილოსედ. გადაკეთებული მანქანის საშუალო წარმადობაა 1,9 ჰექტარი საათში.

ექსკურსანტები, რომლებიც ამ აგრეგატს ათვალიერებენ, მაღალ შეფასებას აძლევენ მას.

ისევე, როგორც ყოველთვის, ახლაც ბლომად არის ხალხი სტენდებთან, რომლებიც უამირი მიწების ათვისებას ასახავენ. აქ ერთმანეთს ხვდებიან ციმბირის, უაზახეთის მექანიზატორები, მარცვლეულის ახალი საბჭოთა მეურნეობების დირექტორები და მემინდვრეები, ტრაქტორისტები.

„მარცვლეულის“ პავილიონში აღმოსავლეთ უაზახეთის ოლქის ახალგაზრდა ტრაქტორისტთა და მისაბმელ მანქანებზე მომუშავეთა ჯგუფი შეხვდა თანამემამულეებს. უკრაინელ კოლმეურნეებს. მექანიზატორთა შორის არის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი პ. კულიკი აღმოსავლეთ უაზახეთის ოლქის უდაბნოს სახელობის მარცვლეულის ახალი საბჭოთა მეურნეობიდან. მისმა ბრიგადამ საბჭოთა მეურნეობების მექანიზატორთა შეჯიბრებაში უაზახეთის უამირ მიწებზე პირველი ადგილი დაიკავა. ამხანაგების თხოვნით ამხ. კულიკი ლაპარაკობს თავისი მუშაობის გამოცდილებაზე.

— უამირ მიწებზე ჩვენ მივედით 520 კაცისაგან შემდგარ ჯგუფად. ჩვენს შორის არის უკრაინის, უუბანის, მოსკოვის ოლქის ახალგაზრდობა. ცოტა არ იყოს გაგვიძნელდა უდაბურ ადგილზე ყოფნა. მოვეწყეთ. არც თუ ცუდად ვმუშაობთ. საბჭოთა მეურნეობამ ვადამდე შეასრულა სახელმწიფო გეგმა — მოხნა 21 ათასი ჰექტარი უამირი. გეგმის გადამეტებით მოვხნინთ კიდევ 2.500-მდე ჰექტარი მიწა. მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ჩვენს მასიებზე მომავალ წელს ავიღოთ სულ ცოტა ორმილიონნახევარი ფუთი მარცვლეული.

მექანიზატორებს ბევრ კითხვას აძლევენ. ისინი დაწვრილებით უპასუხებენ. ამხ. კულიკი ამბობს, რომ მისმა ბრიგადამ 6.500-ზე მეტი ჰექტარი უამირი მიწა მოხნა.

— როგორია თქვენი ტრაქტორისტების შემოსავალი? — კითხულობს უკრაინის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. მარუსენკო. მას უპასუხებენ: „საშუალო შემოსავალია თვეში 2-2,5 ათასი მანეთი. მისაბმელ მანქანებზე მომუშავეები 1.200 მანეთს აკეთებენ“...

„სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის“ პავილიონის ექსპონატებს შეემატა ხუთკორპუსიანი გუთანი, რომელიც გაკეთებულია ნოვატორი მემინდვრის ტ. ს. მალცევის წინადადებით. ეს გუთანი იმით განირჩევა, რომ არა აქვს ფრთა, რის გამო იგი მხოლოდ აფხვიერებს ნიადაგს 40-50 სანტიმეტრ სიღრმეზე და არ აბრუნებს ბელტებს.

ამასწინათ ბევრი ახალი ექსპონატი მიიღეს სხვა პავილიონებმაც. ვეებერთელა საზამთროების გროვამ დაამშვენა უაზახეთის პავილიონის ერთ-ერთი სტენდი. თითო საზამთრო 20 კილოგრამია. ეს საზამთროები გამოგზავნილია საბჭოთა მეურნეობა „პახტა-არალიდან“. წელს მათი მოსავლიანობა მეურნეობის მინდვრებში ჰექტარზე 500 ცენტნერს აღწევს.

გამოფენის საექსპონატო ნაკვეთებზე გაჩაღებულია შემოდგომის სამუშაოები. იღებენ საგვიანო კულტურებს — პამიდორს, კარტოფილს, კომბოსტოს, სასილოსე სიმინდს, წიწიბურას. სიმინდის ერთ ნაწილს კონებად ტოვებენ საჩვენებლად. მთავრდება საშემოდგომო კულტურების თესვა. საექსპონატო ნაკვეთებზე თესავენ 68 ჯიშის ხორბალს, 34 ჯიშის ბეავს და ერთი ჯიშის საშემოდგომო ჭირს.

(საქდესი).

მოსკოვი. სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. სურათზე: მნახველები „ჩრდილოეთ კავკასიის“ პავილიონში კამენსკის ოლქის-სტენდებთან.

ფოტო ნ. გრანოვსკისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ამხანაგო მეშახტეებო, მეჯი ქვანახშირი—სამშობლოს!

★ ★

ნდობას გაამართლებენ

ჩვენი რესპუბლიკის ქვანახშირის სამრეწველო რაიონებს შორის ახალციხის რაიონი ყველაზე ახალგაზრდაა. ქვანახშირის საბადოთა ექსპლოატაცია აქ მხოლოდ ომის შემდეგ დაიწყო. მიუხედავად ამისა, ახალციხელი მეშახტეების მიერ მოპოვებული ქვანახშირის რაოდენობას რესპუბლიკაში ახლა საგრძნობი ხვედრითი წონა აქვს.

დიდად გვირთულებს შახტებში მუშაობის სათანადოდ მოწყობის საქმეს სამთო გამონამუშევართა გამაგრების მეთოდის შეურჩევლობა. ეს ისეთი საქმეა, რომ მის მოუწესრიგებლად ძნელია ქვანახშირის ამოღების მკვეთრი გადიდების მიღწევა. ახალციხექვანახშირის კოლექტივმა ამ საქმეში დაეხმარა საკავლევი ინსტიტუტები, ადგილობრივი რაციონალიზატორები. კვლევითი დარგის მეცნიერი მუშაკებისა და პრაქტიკოსი რაციონალიზატორების შემოქმედებითმა თანამშრომლობამ უკვე მოგვცა ნაყოფი. მოეწყო ცდები ინჟინერ რ. ჯიქიას და ნოვატორი მეშახტის გ. მირზოიანის მიერ შემუშავებული გამაგრების მეთოდის შესამოწმებლად. სამთო გამონამუშევართა გამაგრება ამ მეთოდით მრავალ უპირატესობას შეიცავს: გამონამუშევართა შენახვა, მიუხედავად ადგილობრივი სპეციფიკურობისა, ხერხდება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და ამავე დროს ამ მეთოდით ერთი გრძივი მეტრი გამონამუშევრის გამაგრება ჯდება 700-800 მანეთით უფრო ნაკლები, ვიდრე ჩვეულებრივი წესით გამაგრება.

ახალციხექვანახშირის ტრესტის ხელმძღვანელებმა გადაუდებელ ამოცანად დავისახეთ გავაფართოოთ სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა ფრონტი და ამით უზრუნველყოთ ქვანახშირის ამოღების სწრაფი გადიდება. ივლისისა და აგვისტოს განმავლობაში სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმა შესრულებულია 125 პროცენტით, რითაც შექმნილია პირობები მომავალ თვეებში ქვანახშირის ამოღების მკვეთრად გადიდებისათვის.

1 სექტემბრიდან მეორე შახტში წმენდითი სანგრევების ნახევარზე მეტი გადაყვანილ იქნება ციკლური გრაფიკით მუშაობაზე. ამ პროგრესული მეთოდით მუშაობის დანერგვა უეჭველია დიდად შეგვიწყობს ხელს ქვანახშირის მოპოვების წლიური გეგმის ვადამდე შესრულებაში.

ახალციხელმა მეშახტეებმა თავიანთი დღესასწაულისათვის — მეშახტის დღისათვის მზადების დაწყებისას იკისრეს უახლოეს ხანში დაფარონ წინა თვეების დავალიანება, უზრუნველყონ წლიური გეგმის ვადამდე შესრულება. ამ ვალდებულებას ისინი უთუოდ შეასრულებენ, ვინაიდან ახალციხელ მეშახტეებს საამისოდ აქვთ ყველა პირობა, აქვთ მუშაობის დიდი ხალისი და მდიდარი გამოცდილება.

ა. დოლიძე,
ახალციხექვანახშირის ტრესტის მმართველი.

მეშახტეების კეთილდღეობისათვის

გასულ 1953 წელს სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის რაიონებში მეშახტეების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად აგებულ იქნა 92 სასკოლო შენობა, საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების 57 შენობა, გაიხსნა 136 მაღაზია, 111 საბავშვო ბაღი და საბავშვო ბაგა.

წელს 1 იანვრიდან 1 ივლისამდე საბჭოთა მეშახტეებს გადაეცათ ნახევარ მილიონზე მეტი კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი და 113 კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტი.

„სასახლის უბანი"

ტყიბულში, ქალაქის ყველაზე თვალსაჩინო ადგილას შენდება კულტურის სასახლის შესანიშნავი შენობა, რომელიც ყველაზე დიდი იქნება მთელ ქალაქში. სასახლის შენებლობა 7.500 ათასი მანეთი ჯდება. იგი საუკეთესოდ იქნება მოწყობილი.

სამუშაოთა დამთავრების შემდეგ ეს უბანი, რომელსაც მეშახტეები უკვე უწოდებენ „სასახლის უბანს", ტყიბულის დამამშვენებელი იქნება.

სურათზე: ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მოწინავე მეშახტეები (მარცხნიდან-მარჯვნივ) კ. გიორგაძე, გ. ელიაური, ნ. პელანგია, ა. ტუტაკი, ნ. ხაჭიპერაძე, ტ. ლეშჩენკო, გ. ბაბაი, გ. მარგველაშვილი, მ. დალბაბა, ვ. ჯინჯოლია. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

თ ა ვ დ ა დ ე ბ ა

შლეგიანთ შემოვარდა სადისპეტჩეროში წამით გასული მორიგე. ტელეფონის გაბმული წკარუნი განგაშს სცემდა. მორიგე ყურმილს ეცა. ღამის სიწყნარეში უფრო მძლავრად და თითქოს მრისხანედაც კი ისმოდა ზარის ხმა.

— ჰო, ჰო, რა მოხდა, რაშია საქმე? მე ვარ, დისპეტჩერი... შოთა ფრუიძე ვარ, კაცო, რა გინდა.—შოთამ ხმაზე იცნო ცვლის უფროსი დავით შელია. — ტრანსპორტიორი?... მერე რა მოხდა? ფუ, გაგაწამა მაგ ოხერმა. ჯაგლაგი ცხენივით აჩაქჩაქდება, დადგება, აჩაქჩაქდება, დადგება... კარგი, დაიცა, სული მოითქვი. ისეა გაეცეცხლებული, გეგონება დღეს პირველად გაჩერებულიყოს, — ჩაილაპარაკა თავისთვის, — ახლავე ვაცნობებ შახტის მთავარ მექანიკოსს, იგნატენკოს ბრიგადიდან შემკეთებლებს გამოგზავნიან. არაფერი ეშველება? აბა, ამ დროს ახალ კონვეიერს ხომ არ გაგიმართავენ, რაზე იშლი ნერვებს, მაგას არაფერი არ ეშველება. ხომ იცი, კუზიანს რა გაასწორებს? მოიცა, მოიცა, მე კი არ ვაკეთებ ტრანსპორტიორებს...

განა მარტო შელიას ცვლა ცდებოდა, მთელი უბნის მუშაობა ფერხდებოდა. აი ახლაც 170 მეტრიანი შურო ქვანახშირით იყო სავსე, გასატანი გზა ჩაიკეტა. ყველაზე მეტად კი გამყვანებს ეშლებოდათ ხელი, ახალი ლავების გახსნა ყოვნდებოდა, მუშაობის ფრონტი ვიწროვდებოდა. ექვსი თვის ნაცვლად ერთ წელიწადზე მეტს იმუშავა მომხვეტმა ტრანსპორტიორმა, ნაწილები გაუცვდა. უკანასკნელი თვეების მანძილზე დღეღამეში ხუთი-ექვსი საათი იდგა, ცდებოდნენ მეშახტეები.

აქამდე კიდევ როგორც იყო იტანდნენ ამ მანქანის ჭირვეულობას, მაგრამ ახლა ყველაზე მეტად ის აწუხებდათ, რომ რაღაც თორმეტი დღის შემდეგ მეშახტეთა ზეიმი უნდა გადაეხადათ, საწარმოო მაჩვენებლები გაუფუჭდებოდათ, დღესასწაული ჩამწარდებოდათ.

შახტის საგანრიგოში ჩვეულებრივი ფუსფუსი იყო. ახალი ცვლა გამოდიოდა სამუშაოდ. შახტის მთავარ ინჟინერს მამაცაშვილს და მთავარ მექანიკოსს კაკაბაძეს სწორედ აქ აცნობეს კონვეიერის დაზიანების ამბავი. საგონებელში ჩავარდნენ. მეტად სერიოზული მდგომარეობა შეიქმნა. სიძნელეს ის კი არ წარმოადგენდა, რომ ახლა კაცი უნდა გაეგზავნათ და სათითაოდ მოეძებნათ ან გაეღვიძებინათ შემკეთებელი ბრიგადის წევრები, როგორმე აემუშავებინათ ტრანსპორტიორი, არამედ ის, რომ აშკარად ჩანდა—მექანიზმის ბებერი ძვლები მეტს ვეღარ იტანდა, რაღაც სხვა უნდა ეღონათ. ამას ორივე კარგად გრძნობდა. იმიტომ იყო, რომ ერთანხანს სდუმდნენ, წამით ფიქრს მიეცნენ.

— ახალი ტრანსპორტიორის საქმე როგორ გვაქვს?—იკითხა ბოლოს მთავარმა ინჟინერმა, — მგონი ამას წინათ მივიღეთ. — დაატანა თვითონვე.

— ტრანსპორტიორი კი გვაქვს, მაგრამ... ასე მალე არ მოხერხდება გამართვა. სამი დღეღამე მაინც არის საჭირო, სანამ ამას დავშლით, გავიტანთ, მერე ახალ ნაწილებს ჩავზიდავთ 200-ე ჰორიზონტზე.—კაკაბაძე გრძნობდა, რომ მძიმე საქმეს ეჯიდებოდნენ. დღე რომ იყოს, საქმეს კიდევ მოევლებოდა, ახლა ყველა მოსაძებნია, მექანიკური საამქროს უფროსიც, შეკეთებლებიც... ამ დროს სად ვის ეპოვნი. ღამის თორმეტი საათი დაიწყო.

მაგრამ სხვა გზა არ იყო. ახლავე უნდა შესდგომოდნენ საქმეს. ზოგან ბიჯები აფრინეს, ზოგს ტელეფონით შეატყობინეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ შახტის შტოლნაში მოციმციმე დღის სინათლის ნათურების სხივებს მეშახტეთა ლამპების შუქიც შეერია. ეს სტეფანე იგნატენკოს მემონტაჟეთა ბრიგადა მიდიოდა საბრძოლო დავალების შესასრულებლად.

მალე საშახტე ლიფტი თავბრუდამხვევი სისწრაფით მიაქანებდა მიწის სიღრმეში, მე-200 ჰორიზონტზე ახალი მომხვეტი მექანიზმის ნაწილებს. ქვევიდან კი ძველის დეტალები ამოჰქონდა. გადაწყვიტეს, რომ მუშაობა სწრაფად წასულიყო წინ, ძველის დაშლა და ახლის მოწტაჟი ერთსა და იმავე ადგილზე ყოფილიყო.

თავაუღებლივ მუშაობდნენ იგნატენკოს ბრიგადის ზეინკლები ვლადიმერ ტორჩია, ამბროსი ბაკურაძე, ვლადიმერ მიგინეიშვილი და შახტის მექანიკოსი ვასილ პავლენკო.

მარტო მექანიკური საამქროს მუშები როდი მონაწილეობდნენ მთელი შახტისათვის ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმეში. მეოთხე უბნის მნგრეველები, მებიგეები, მასალის მიმწოდებლები დიდი ერთსულოვნებით მუშაობდნენ. განსაკუთრებით მონდომებით შრომობდნენ ბიძინა დურმიშიძის მოსამზადებელი უბნიდან გამყვან კალისტრატე კორძაძისა და ივანე ბორჩენკოს ბრიგადები.

უკანასკნელი თვეების მანძილზე საშახტო მექანიზმების მონტაჟისა და ექსპლოატაციის დიდი გამოცდილება შეიძინეს სტალინის სახელობის შახტში — კვერშლაგებში და სანგრევებში ლიანდაგიანი ვაგონებით ქვანახშირის გამოზიდვა მძლავრი ტრანსპორტიორებით შეცვალეს. ეს იყო ერთ-ერთი ღონისძიება, რომელმაც ხელი შეუწყო შახტის კოლექტივს თავი დაეღწია ჩამორჩენისათვის. მაგრამ მარტო ამან როდი უზრუნველყო შახტის კოლექტივის წლევანდელი წარმატებები — რვა თვის გეგმის 18 აგვისტოსათვის განაღდება. წელს აქ მთლიანად დადგენდნენ გამონამუშევარი სივრცეების ჰიდრავლიკური ვსებაზე. გაუთმჯობესეს სავსები მასალის მიწოდება. მოაწესრიგეს საკარიერო მეურნეობა. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს წყალშემკრების აღდგენა და რეკონსტრუქცია მე-200 ჰორიზონტზე. თვალსაჩინო შედეგები მოყვა ლავების გამომუშავების სისტემის შეცვლას. თუ წინათ ქვანახშირს შრეების დახრის მიხედვით ფენის გავრცელების დაღმავალი მიმართულებით იღებდნენ, ახლა აღმავალი მიმართულებით იღებენ. ამან საგრძნობლად გაადიდა მოქმედ სანგრევთა ხაზი.

— ივანე, ოჰ, ერთი ამ ბებრუხანა ტრანსპორტიორს მოვიშორებდეთ, და მერე ნახე, როგორ გავრეკავთ, — ეუბნებოდა კორძაძე ბორჩენკოს და მორიგ რეშტაკს ხსნიდა ძველი ტრანსპორტიორიდან.

— მაინც რას იზამ? რა გინდა ამ საცოდავთან, მთელი წელიწადი კეთილსინდისიერად გვემსახურა. რამდენი არ ვაწვალეთ, ეათრიეთ, მაგრამ არ უღალატნია.

— როგორ თუ მაინც. შენ კი არ იცი, რომ... — გაოცებით შეხედა კორძაძემ, თავი დაღუნა და ქუდზე დამაგრებული ლამპა პირდაპირ სახეში შეანათა. ივანემ თვალები მოუტუტა, მაგრამ ბაგეზე შერჩენილმა ღიმილმა გასცა. მიუხვდა კალისტრატე, რომ რაღაცას ეშმაკობდა ივანე, და სიტყვა აღარ გაუგრძელებია. მართლაც, ყველასათვის ცხადი იყო ახალი ტრანსპორტიორის ამუშავების დიდი მნიშვნელობა, ველი დროზე მომზადდებოდა, იმ შტრეკებიდანაც წამოვიდოდა ქვანახშირი, საიდანაც ახლა არ მოდიოდა, გამყვანებიც გაადიდებდნენ წინსვლის ტემპს. ამაში ეჭვი არავის შეჰქონდა.

ოც საათს დაჰყო შახტში სტეფანე იგნატენკოს ბრიგადამ. თავაუღებლივ მუშაობდა. კიდევ ცოტაც, და...

მოიდან მომსკდარი მდინარესავით დაეშვა ქვანახშირის ნიაღვარი შუროზე.

დაიძრა ტრანსპორტიორი. ერთმანეთს მუჯლუგუნი ჰკრეს, გამოცოცხლდნენ. გახალისდნენ ქვანახშირის მოლოდინში მოვლემავი ცარიელი ვაგონები. ელექტროშუქზე მოლაპლაპე შაივი ჩანჩქერი ვაგონს ვაგონზე ავსებდა.

ს. ხარაზიშვილი, ვ. ცირეკიძე.
ტყიბული. სტალინის სახელობის შახტი.

★ ★

ნდობა—გამაგზავნე

წინსვლიტ—გამაგზავნე

წელს პირველ ნახევარში ტყვარჩელელ მეშახტეთა მრავალრიცხოვანმა კოლექტივმა ვერ იმუშავა გამართულად, ვერ შეძლო სახელმწიფო გეგმების წარმატებით დიდი სამამულო ომის შემდეგ საქართველოს ქვანახშირი დააკლო.

ძირითადი მიზეზი, რამაც გამოიწვია ტყვარჩელელთა ჩამორჩენა, არის სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა ფრონტის შეკვეცა, რასაც თავის დროზე ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა და რამაც შემდგომ თვეებში გამოიწვია სანგრევი ხაზების შემცირება. ტყვარჩელელთა ჩამორჩენის მიზეზთა ანალიზი ცხადყოფს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საშახტო მეურნეობის გულდასმით მომზადებას ზამთრის ვითარებაში შეუფერხებელი მუშაობისათვის. სწორედ იმის გამო, რომ შარშან ზამთრისათვის კარგად ვერ მოემზადნენ, ხოლო ზამთარი საგრძნობლად მკაცრი აღმოჩნდა, ხელი შეეშალათ გეგმების შესრულებაში. ზამთრისათვის სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა საჰაერო-საბაგირო გზა. ამან შეაფერხა შახტებიდან ამოღებული ქვანახშირის დროულად გაზიდვის საქმე, ხელი შეუშალა მეშახტეებს მუშაობაში.

წლის მეორე ნახევრის დასაწყისიდანვე ტყვარჩელის შახტებში შესამჩნევი გახდა აღმავლობის ნიშნები. ეს იმის შედეგია, რომ გააძლიერეს სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა შესრულება, უკეთესად მოაწყეს ადგილობრივი რეზერვების გამოყენება, განახორციელეს მთელი რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები ქვანახშირის მოპოვების გასაადიდებლად, არსებული სამთო მექანიზმების სრულ სიმძლავრეთა გამოსაყენებლად. ივლისში ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმა საწარმოო დავალება უკვე 104,3 პროცენტით გაანაღდა და ქვანახშირის სადღეღამისო ამოღება წინა თვესთან შედარებით 12 პროცენტით გაადიდა.

ძირითადი სამთო-მოსამზადებელი სამუშაოების გეგმა ივლისში 145,1 პროცენტით არის განაღდებული. ივნისში აქ ყოველი მეშახტე საშუალოდ დღეღამეში გვაძლევდა 34,7 ტონა ქვანახშირს. ივლისში კი საშუალოდ ყოველმა მეშახტემ მოგვცა 39,6 ტონა, ხოლო აგვისტოში კიდევ მეტი ქვანახშირი. ამასთან ტყვარჩელელებმა ივლისში მიაღწიეს ქვანახშირის ნაცრიანობის შემცირებას ნახევარი პროცენტით.

ახლა ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის ყველა შახტი სადღეღამისო დავალებებს გადაჭარბებით ასრულებს. ტყვარჩელელ მეშახტეთა ხელმძღვანელების ამოცანაა განამტკიცონ მიღწეული წარმატებები, უზრუნველყონ ქვანახშირის მოპოვების შემდგომი აღმავლობა.

ი. ფარესიშვილი.
საქართველოს ქვანახშირის კომბინატის საწარმოო განყოფილების უფროსი.

ზრდის მაჩვენებლები

დიდი სამამულო ომის შემდეგ საქართველოს ქვანახშირის მრეწველობაში შახტების რაოდენობა ორჯერ გაიზარდა. ამჟამად მუშაობს ქვანახშირის გამაუხვებელი ორი ფაბრიკა, რომლებიც იძლევიან ქვანახშირის მაღალხარისხოვან საკოქსე კონცენტრატს.

ქვანახშირის საბადოთა დასამუშავებლად და ქვანახშირის მოპოვების შემდგომი გადიდების უზრუნველსაყოფად ამჟამად მიმდინარეობს რამდენიმე ახალი შახტის აგება და არსებული შახტების გაღრმავება.

მეექსკავატორეთა ნარმაჯება

წელს ტყვარჩელში დიდად გაითქვეს სახელი მეხუთე შახტის ქვანახშირის ჭრილზე (კარიერი) მომუშავე მეექსკავატორეებმა და ბულდოზერის მემანქანეებმა — ნოდარ იოსავამ, გიორგი სოტნიკოვმა, ნუგზარ ქურიძემ, ვალერიან ანთაძემ და ვლადიმერ თოფურიამ. მათ უკვე ამოიღეს იმდენი ქვანახშირი, რამდენიც გეგმით უნდა ამოეღოთ 1955 წლის ბოლომდე, ხოლო ამჟამად ქვანახშირს იძლევიან 1956 წლის ანგარიშში.

დიდი ამოცანები, ახალი პერსპექტივები

ა. კარტოზია,
საქართველოს ქვანახშირის კომბინატის უფროსი, სტალინური პრემიის ლაურეატი.

დღეს საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები — ტყიბულელი, ტყვარჩელელი და ახალციხელი მეშახტეები ჩვენი უძლეველი სამშობლოს ყველა მეშახტესთან ერთად ზეიმით აღნიშნავენ თავიანთ ტრადიციულ დღესასწაულს — მეშახტის დღეს. ამ დღისათვის მზადება ჩვენმა მეშახტეებმა გადაქციეს ზეგეგმითი ქვანახშირის მოპოვებისათვის, მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის დაუღალავ ბრძოლად, არსებული რეზერვების გამოვლინებისა და გამოყენებისათვის შეუპოვარ ლაშქრობად.

მეტი ქვანახშირის მოპოვებისათვის თავდადებულ ბრძოლაში საბჭოთა მეშახტეებს აღაფრთოვანებს იმის შეგნება, რომ ამით ისინი ხელს უწყობენ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ ჩვენი ქვეყნის მშრომელების წინაშე დასახული კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამის შესრულებას, ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების საფუძველთა საფუძვლის — მძიმე მრეწველობის შემდგომ განვითარებას, სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების კიდევ მეტად განმტკიცებას. მეტი ქვანახშირისათვის ბრძოლაში საბჭოთა მეშახტეებს აღაფრთოვანებს ის დიდი დახმარება და მზრუნველობა, რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უწევენ ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებს.

ქვანახშირის მრეწველობა ჩვენს ქვეყანაში სახალხო მეურნეობის ერთერთ საუკეთესოდ მექანიზებულ დარგად გადაიქცა და ამის შედეგად დაჩქარდა მისი ზრდა, რამაც თავის მხრივ განაპირობა მრეწველობის სხვა დარგების სწრაფი წინსვლა.

1953 წელს საბჭოთა კავშირში ქვანახშირის ამოღება გადიდებული იყო ორჯერ და უფრო მეტად. ომისწინა 1940 წელთან შედარებით, ხოლო საქართველოში ამავე ხნის განმავლობაში ქვანახშირის მოპოვება გაიზარდა თითქმის ოთხჯერ.

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის შახტები აღჭურვილი არიან უახლესი, გაუმჯობესებული სამთო მექანიზმებით — ქვანახშირის კომბაინებით, საყელავი მანქანებით, მომგრეგი ჩაქუჩებით, მომხვეტი ტრანსპორტიორებით, მძლავრი საშახტო ელექტრომავლებით და მრავალი სხვა დანიშნულების მანქანებით და მექანიზმებით. საბჭოთა მეშახტეებისადმი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუნელებელმა მზრუნველობამ გამოვლინება ჰპოვა იმაშიც, რომ მარტო ჩვენი რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობაში დიდი სამამულო ომის შემდგომ წლებში დაბანდებულ იქნა 1 მილიარდ 500 მილიონი მანეთი. იმავე პერიოდში საქართველოს მეშახტეების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობას მოხმარდა 325 მილიონი მანეთი.

1945 წლიდან დღემდე საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის რაიონებში მეშახტეებისათვის აშენდა 203.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, სამშობიარო სახლები, მუშათა კლუბები, სკოლები, აბანოები და ა. შ.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ასეთ მზრუნველობას საქართველოს მეშახტეებმა იმით უპასუხეს, რომ წელს ქვანახშირის მოპოვების 7 თვის გეგმა 101,3 პროცენტით შეასრულეს და გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ქვანახშირის ამოღება 10,3 პროცენტით გაადიდეს. წელს ჩვენი კომბინატის შახტები საშუალოდ დღეღამეში გვაძლევენ 675 ტონით მეტ ქვანახშირს, ვიდრე შარშან.

საშახტო წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვამ და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებამ გამოიწვია მეშახტეთა შრომის ნაყოფიერების მკვეთრი ზრდა. წელს მარტო პირველ ნახევარში, ე. ი. იანვრიდან ივლისამდე შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა შესრულებულ იქნა 3 პროცენტის გადამეტებით, ხოლო წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 8,1 პროცენტის გადამეტებით. შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად გამომუშავების ნორმათა შესრულებამ საშუალოდ ყოველ მეშახტეზე 125 პროცენტი შეადგინა. თუ 1940 წელს ჩვენი მეშახტის საშუალო თვიური ხელფასი არ აღემატებოდა 516 მანეთს, ხოლო 1946 წელს — 749 მანეთს, 1953 წელს მან უკვე შეადგინა 1.154 მანეთი.

მეტი ქვანახშირისათვის ბრძოლაში წელს კარგი შედეგები აქვთ ტყიბულელ მეშახტეებს, რომლებიც ახლა შარშანდელ სადღეღამისო მოპოვებასთან შედარებით საშუალოდ გვაძლევენ 400 ტონაზე მეტ ქვანახშირს. ტყიბულქვანახშირის ტრესტის შახტებმა წელს ქვანახშირის მოპოვების 8 თვის გეგმა ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულეს.

ივლისიდან საგრძნობლად გაუმჯობესესს მუშაობა ტყვარჩელელმა მეშახტეებმაც, რომლებიც წინა თვეებში დიდად ჩამორჩებოდნენ. ტყვარჩელელებმა იკისრეს მესამე კვარტალის ბოლომდე გამოასწორონ ჩამორჩენა, დაფარონ წინა თვეებიდან გადმოყოლილი დავალიანება და უზრუნველყონ წლიური გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულება. ბოლო დღეებში უკეთესად იწყეს მუშაობა ახალციხელმა მეშახტეებმაც.

წელს საქართველოს ქვანახშირის კომბინატის შახტებმა ხუთჯერ გადმარჯვეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მოიპოვეს პრემიები. ათასზე მეტი ჩვენი მეშახტე დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით, ხოლო ორს მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის სატიტო წოდება.

ასეთი წარმატებებით შეხვდნენ თავიანთ ტრადიციულ დღესასწაულს საქართველოს მეშახტეები. მაგრამ მათ, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანს, არ სჩვევიათ მიღწეულით დაკმაყოფილება, არ სჩვევიათ თვალი აარიდონ იმ ნაკლოვანებებს, რაც მათს მუშაობას ახასიათებს, ხელს უშლის საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის შემდგომს, უფრო სწრაფ აღმავლობას.

ჩვენს რესპუბლიკაში მოიპოვება ქვანახშირის მრეწველობის ჯერ გამოუყენებელი დიდი რეზერვები. ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა მოვალეობაა გამოავლინონ და გამოიყენონ ეს რეზერვები, ისარგებლონ ყველა შესაძლებლობით ქვანახშირის მოპოვების გასაადიდებლად.

საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ჯერ კიდევ ყველა შახტი როდი მუშაობს სრული საპროექტო სიმძლავრით. ზოგი შახტიდან ჩვენ ამოგვაქვს იმაზე ბევრად ნაკლები ქვანახშირი, რამდენის მოცემაც ამ შახტს შეუძლია.

ჩვენი მეშახტეების მოვალეობაა მიაღწიონ შახტების სრული საპროექტო სიმძლავრის ათვისებას, ამოიღონ იმდენი ქვანახშირი, რამდენიც შესაძლებელია საპროექტო მონაცემების მიხედვით.

ჩვენს შახტებში არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება ციკლური გრაფიკით მუშაობა, რაც ზეგეგმითი ქვანახშირის მიღების საწინდარია. მიმდინარე წლის პირველი ნახევრის განმავლობაში ციკლური გრაფიკით მუშაობაზე უნდა ყოფილიყო გადაყვანილი (საშუალოდ, თვეების მიხედვით) 20 ლავი. ფაქტიურად კი ციკლური გრაფიკით მომუშავე ლავების რაოდენობა 16,7 შეადგენდა. მეშახტეების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ფართოდ გამოიყენონ წარმოების ორგანიზაციის ეს მოწინავე მეთოდი, ყველა ლავში შემოიღონ ციკლური გრაფიკით მუშაობა.

ჩვენი შახტების მუშაობაში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი სამთო მექანიზმების გაცდენა, ზოგან ამ მექანიზმებს ცუდად უვლიან და ამის შედეგად ხელი ეშლებათ ქვანახშირის ფენათა დამუშავების დროს. არის სხვა ნაკლოვანებანიც. ყველა ამ ნაკლოვანებათა ლიკვიდაცია, ქვანახშირის მოპოვების შეუნელებელი ზრდისათვის სათანადო ღონისძიებათა განხორციელება უწინარეს ყოვლისა მეშახტეთა ხელმძღვანელების მოვალეობა და გადაუდებელი ამოცანაა.

რესპუბლიკის მრეწველობა შეუნელებლივ მზარდი რაოდენობით მოითხოვს ქვანახშირს. თანდათან მზარდ მოთხოვნებს უყენებენ ქვანახშირზე მეშახტეებს ჩვენი მეტალურგები, ენერგეტიკოსები, ტრანსპორტის მუშაკები. ამ მოთხოვნათა შესახებ ზოგადი წარმოდგენისათვის შეიძლება აღინიშნოს, რომ 1959 წელს საქართველოს სახალხო მეურნეობას დასჭირდება ორჯერ იმაზე მეტი ქვანახშირი, რასაც ახლა რესპუბლიკაში მოქმედი საშახტო ფონდი შეადგენს. ასეთი მზარდი მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი იქნება მკვეთრად გავაძლიეროთ ახალი შახტების მშენებლობა.

საქართველოს შახტმშენებლობის წინაშე ამ მხრივ ორანაკლებ პასუხსაგები ამოცანები დგას, ვიდრე მეშახტეების წინაშე. შახტმშენებლებმა უნდა გარდაქმნან მუშაობა, აშენონ სწრაფად, იაფად, მაღალხარისხოვნად. ჩვენს რესპუბლიკაში ახალი საშახტო მშენებლობის დიდი პერსპექტივებია. მაგრამ იმისათვის, რომ საშახტო მშენებლობის მასშტაბი გავაფართოოთ, საჭიროა საძიებო სამუშაოების დაჩქარება.

ახალი შახტების მშენებლობაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის საქართველოს შახტპროექტის ინსტიტუტს, რომელიც მოვალეა დროულად, დაუგვიანებლივ მოამზადოს მშენებელი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით.

საქართველოს მეშახტეებს და შახტმშენებლებს ყველა პირობა აქვთ იმისათვის, რომ წარმატებით გაართვან თავი მათ წინაშე დასახულ დიდ ამოცანებს, წარმატებით შეძლონ პარტიისა და მთავრობის დავალებათა შესრულება, მზარდი რაოდენობით აძლიონ სახალხო მეურნეობას „მრეწველობის პური" — ქვანახშირი. ამისათვის საჭიროა მასობრივად გავავრცელოთ და საერთო კუთვნილებად ვაქციოთ ისეთი მოწინავე მეშახტეების გამოცდილება, როგორიც არიან ტყიბულელი მეშახტეები — ა. ვარდოსანიძე, ი. ორჯონიკიძე, ვ. სოსიუკოვი, ს. სოფრომაძე, ა. ხორხომელიძე, ტყვარჩელელი მეშახტეები — ნ. ხაჭიპერაძე, ნ. პელანგია, ზ. ჟიტა, ახალციხელები — ვ. ტეფნაძე, ს. გალუსტიანი და სხვები. დიდი გამოცდილება აქვთ ჩვენს შახტმშენებლებს, ინჟინრებს ნ. ჩხეტიას, ა. მურმანიშვილს, მშენებლობათა უფროსებს ლ. დარჩიას, ი. გოგიჩაიშვილს, შახტმშენებელთა ბრიგადირს ნ. ცაბტაძეს და სხვ. მათი გამოცდილების გავრცელება საჭიროა ყველა შახტსამშენებლო ობიექტზე.

გვყვანან სახიმუშოდ მომუშავე შახტმშენებლები და მექანიზატორები, მეშახტეთა მეთაური ინჟინერ-ტექნიკოსები. ამოცანა ახლა ის არის, რომ ეს კადრები უნარიანად გამოვიყენოთ და სწრაფი ტემპით დავძრათ წინ ჩვენი რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის შემდგომი განვითარების საქმე.

ცხადია, არ შეიძლება იმის უგულებელყოფა, რომ ქვანახშირის მოპოვების შემდგომი განუხრელი ზრდის მისაღწევად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შახტებში მუშაობის ნორმალური პირობების შექმნასთან ერთად მეშახტეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. ჩვენი ამოცანაა რესპუბლიკის ქვანახშირის სამრეწველო რაიონებში ფართოდ გავაჩაღოთ საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა. მეშახტეებს უნდა მივცეთ კარგი ბინები, შევუქმნათ ხელსაყრელი პირობები კულტურულად დასვენებისათვის, მათი საცხოვრებელი უბნები სანიმუშოდ კეთილმოწყობილი უნდა იყოს.

ჩვენს რესპუბლიკაში ქვანახშირის მრეწველობის შემდგომი განვითარებისა და გაფართოების დიდი პერსპექტივები ისახება. ჩვენი მეშახტეებისა და შახტმშენებლების ამოცანაა გამოიყენონ ეს პერსპექტივები, შეუნელებლად იბრძოლონ ქვანახშირის ამოღების განუხრელი ზრდისათვის.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ მეტი ქვანახშირი ნიშნავს მეტ ელექტროენერგიას, მეტ ლითონს, მაშასადამე, მეტი რაოდენობით ტრაქტორებს, კომბაინებს, გუთნებს, მეტი რაოდენობით სახალხო მოხმარების სასურსათო და სამრეწველო საქონელს, ნიშნავს პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ საბჭოთა ადამიანების წინაშე დასახული კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამის წარმატებით შესრულებისათვის ხელშეწყობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი სასწავლო წლის წინ

გავაუმჯობესოთ მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდა

ქუთაისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება.

შედგა ქუთაისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება. მოსწავლეების კომუნისტური აღზრდის ღონისძიებათა წარმატებით განხორციელების საქმეში პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. რ. ჯინჯოლიამ.

მომხსენებელმა და სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა ს. შარაბიძემ, ა. მიშველაძემ, ი. ბალანჩივაძემ, დ. ნიკოლაძემ და სხვებმა აღნიშნეს, რომ ქუთაისის სკოლებში 1953-1954 სასწავლო წლის შედეგები ნათლად მოწმობენ როგორც მოსწავლეთა უკეთეს აკადემიურ წარმატებას, ისე კომუნისტური აღზრდის საქმეში მოპოვებულ მნიშვნელოვან მიღწევებს, სასკოლო პარტიული, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების, სკოლის მუშაკთა ნაყოფიერ მუშაობას.

განხორციელდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებანი საყოველთაოსავალდებულო სწავლების კანონის განხორციელად გატარებისათვის. საგაზაფხულო გამოცდების შედეგად შემდეგ კლასებში გადაყვანილ იქნა და სწავლის კურსი დაამთავრა 11.653 მოსწავლემ, რომელთა შორის 1.595 ხუთოსანია. საშუალო სკოლადამთავრებულთა დიდმა უმრავლესობამ წარმატებით ჩააბარა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები. მაგრამ გამოცდებმა ქუთაისის პედაგოგიურ და სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტებში გამოამჟღავნა საშუალო სკოლადამთავრებულთა ერთი ნაწილის ცოდნის დაბალი დონე.

ქუთაისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე

კრებაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მოსწავლეთა პოლიტექნიკური სწავლების საკითხს, როგორც ახალგაზრდობის ყოველმხრივი განვითარებისა და კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთ ძირითად პირობას. აღნიშნა, რომ ქალაქის მთელ რიგ სკოლებში (ყოფილი ქალთა მე-3, მე-6 და მე-11, ვაჟთა მე-3) საკმაო ყურადღება არ ექცეოდა ისეთი საგნების სწავლებას, როგორიც არის ქიმია, ფიზიკა, ბუნებისმეტყველება. მოსწავლეები მოწყვეტილი იყვნენ ცოცხალ პრაქტიკას.

პარტიული აქტივი შეჩერდა მოსწავლეთა შორის მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის, ხალხთა დიადი მეგობრობისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მათი აღზრდის, მუშახალგაზრდობის სკოლებისადმი დახმარების, სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობისა და სასკოლო ცხოვრების სხვა მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებზე.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კ. პ. ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. გ. რუხაძემ.

პარტიული აქტივის კრებამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი.

(„კომუნისტის“ კორ.).

კრიჭიკისა და თვითკრიჭიკის ნიშნით

მასწავლებელთა თათბირები სამხრეთ ოსეთში

ფართოდ გაშლილი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა მასწავლებელთა აგვისტოს თათბირებმა სამხრეთ ოსეთის რაიონებში და ქალაქ სტალინირში. თათბირებზე აღინიშნა, რომ ოლქის დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებში გაუმჯობესდა სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობა, შემცირდა მეორეწლიანობა და მოსწავლეთა სკოლებიდან თვითნებურად წასვლის შემთხვევები. ამ წარმატებებს ხელი შეუწყო სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებამ და მასწავლებელთა შემადგენლობის გაუმჯობესებამ.

გასულ სასწავლო წელს უმაღლესი განათლების მქონე 80 მასწავლებელი დაინიშნა სოფლად. ახალი სასწავლო წლიდან ოლქის სკოლებში დამატებით 130 მასწავლებელი იმუშავებს.

ამასთან თათბირებმა გამოავლინეს ნაკლოვანებები, რომლებიც ოლქის სკოლების მუშაობაში არსებობს. აღინიშნა, რომ სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას ხელს უშლის პედაგოგიურ კადრებთან სუსტი მუშაობა. თათბირებზე სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა მოიყვანეს მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც ნათელყოფენ, თუ როგორ მოუფიქრებლად და წინასწარ გაუაზრებლად ანაწილებს ოლქის სახალხო განათლების განყოფილება მასწავლებელთა კადრებს. ხშირად ჭიანურდება მასწავლებელთა ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა. თათბირების მუშაობიდან აგრეთვე გამოარკვა, რომ ოლქის სახალხო განათლების განყოფილებაში მზრუნველობით არ ეპყრობიან მასწავლებელთა კადრებს. მაგალითად, ზნაურის რაიონის სოფელ ძვილეთის საშუალო სკოლის დირექტორი ნ. შათირიშვილი დირექტორობიდან გაათავისუფლეს მხოლოდ იმიტომ, რომ სკოლას დაუგვიანდა საგამოცდო ბილეთებით მომარაგება. უსაფუძვლოდ გაათავისუფლეს ამავე რაიონის ვახტანას საშუალო სკოლის დირექტორი რ. ცხოვრებოვა და ავნევის სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე მ. მინდიაშვილი.

სტალინირის რაიონის მასწავლებელთა თათბირზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პოლიტექნიკური სწავლების საკითხებს. (საკ. კორ.).

მოძრავი გამოფენა

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, საბჭოთა მხატვრების კავშირმა და სამხატვრო გალერეამ მოაწყეს საქართველოს მხატვრების ნამუშევართა ორი მოძრავი გამოფენა.

როგორც საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ ამხ. პ. კანდელაკმა განაცხადა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში, გამოფენის მოწყობის მიზანია ხელოვნების დაახლოება ხალხთან, მხატვრების მიერ ხალხის ახლო გაცნობა. ეს მათ სტიმულს მისცემს რეალურად ასახონ საბჭოთა ადამიანების შრომა და ცხოვრება.

პირველი მოძრავი გამოფენა, რომელშიც შედის ფერწერის, გრაფიკისა და ქანდაკების 99 ნაწარმოები, გაგზავნილია აღმოსავლეთ საქართველოში — საგარეჯოს, კაჭრეთის, გურჯაანის, თელავის, ახმეტის, ყვარლის, წითელწყაროსა და სიღნაღის რაიონებში. მეორე გამოფენას, რომელშიც 100-ზე მეტი ნაწარმოებია, აჩვენებენ ორჯონიკიძის, ჭიათურის, საჩხერის, თერჯოლის, ზესტაფონის, ქუთაისის, მაიაკოვსკის, წულუკიძის, სამტრედიის, ვანის და სხვა რაიონების მშრომელებს.

გარდა ამისა, ქალაქებში ხოხუნში, ბათუმში და ქუთაისში წარმოებს ნიჭიერი მხატვრის თამარ ახაკელიას ნაწარმოებთა ჩვენება.

სამივე გამოფენა უზრუნველყოფილია კვალიფიციური ექსკურსიამძღოლებით, რომელთა შორის არიან ხელოვნებათმცოდნეები და მხატვრები. ისინი ახსნა-განმარტებას აძლევენ მნახველებს, უმართავენ მათ საუბრებს, გარდა ამისა, აძლევენ კონსულტაციებს თვითმოქმედ წრეებს, ავლენენ ნიჭიერ ახალგაზრდა მხატვრებს.

დიდი ინტერესით ეცნობიან გამოფენებს კოლმეურნე გლეხები. საგარეჯოს რაიონში გამოფენა ინახულა 2.000-ზე მეტმა კაცმა. ნაწარმოებთა ნაწილი გამოფენის ხელმძღვანელებმა გადაიტანეს უშუალოდ კოლმეურნეობებში, მინდვრებზე, სადაც მასობრივი მუშაობა მიმდინარეობდა. აქ კოლმეურნეები შესვენების საათებში მიდიოდნენ ქართველ მხატვართა და მოქანდაკეთა ნაწარმოებების სანახავად.

მხატვრებისა და კოლმეურნეების ასეთი შეხვედრა მოხდა, მაგალითად, საგარეჯოს რაიონის სოფელ სართიჭალის კოლმეურნეობის მინდვრებში პურის აღების დროს. 150-ზე მეტმა კოლმეურნემ ნახა ადგილზე მიტანილი ექსპონატები. გურჯაანში გამოფენის გახსნისას გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელზეც გამოვიდნენ როგორც გამოფენის ორგანიზატორები, ისე რაიონის მშრომელთა წარმომადგენლები. ასეთივე ინტერესით შეხვდნენ გამოფენას თელავის, ახმეტის, ორჯონიკიძისა და სხვა რაიონების მშრომელები.

ყველა რაიონში, სადაც კი გამოფენებია, ისინი იხსნება საზეიმო ვითარებაში. კულტურის სახლები, კლუბები, სკოლების დარბაზები, სადაც ეწყობა გამოფენები, სავსე არის მნახველებით.

თბილისიდან რაიონებში სისტემატურად ჩადიან საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მუშაკები, მხატვართა კავშირის წევრები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ გამოფენების საზეიმო გახსნაში, მართავენ მოხსენებებსა და საუბრებს, პოპულარიზაციას უწევენ საქართველოს მხატვრების შემოქმედებას.

მხატვრები ადგილებზე, მუშაობის დროს ხატავენ საკოლმეურნეო მინდვრების მოწინავე ადამიანებს, გარდა ამისა, სინჯავენ ნიჭიერი კოლმეურნე ახალგაზრდების ნაწარმოებებს, ეხმარებიან და აძლევენ მათ მითითებებს.

თბილისის კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კინოქრონიკამ გადაიღო გამოფენების ჩვენების რამდენიმე ეპიზოდი.

სამივე გამოფენა რესპუბლიკის ქალაქებში, რაიონულ ცენტრებსა და კოლმეურნეობებში იმუშავებს წლის დამლევამდე. მათ ინახულებს ათეულ ათასობით მშრომელი.

სურათზე: გამოფენის ექსპონატები საგარეჯოს რაიონის სოფელ სართიჭალის კოლმეურნეობის კალოზე — კადრი კინოქრონიკიდან მოძრავი გამოფენის შესახებ (რეჟისორი ა. მამულაშვილი, ოპერატორი გ. უსეინაშვილი).

«სოიუზპეჩატის» კიოსკი მტს-ში

ცხაკაია. (საკ. კორ.). კავშირგაბმულობის რაიონულმა კანტორამ ცხაკაიას მტს-ში გახსნა „სოიუზპეჩატის“ კიოსკი. გარდა ჟურნალ-გაზეთებისა, აქ იყიდება პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა, სხვადასხვა სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ბროშურები. ამ ლიტერატურაზე მექანიზატორების დიდი მოთხოვნილებაა.

დამნაშავეები და მათი გულშემატკივრები

სინათლე ერთ-ერთი ყველაზე დიდი სოფელია ამბროლაურის რაიონში. ამ სოფლის მცხოვრებთა უმრავლესობა თავდადებით შრომობს საკოლმეურნეო მინდვრებზე, მეცხოველეობის ფერმებში, თავიანთი წვლილი შეაქვს ახალი ცხოვრების მშენებლობის საქმეში. მაგრამ აქაც არიან ადამიანები, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას, ლოთობენ, ხულიგნობენ, მყუდროებას ურღვევენ პატიოსან მშრომელებს.

ამ სოფლის მცხოვრები ბიკენტი კობახიძე, რომელიც სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების მეხუთე კურსის სტუდენტად ითვლება, მთელ დროს ლოთობასა და ხულიგნობაში ატარებს, ყოყოჩობს იმით, რომ სტუდენტია, თაკილობს შრომას. სამაგიეროდ კობახიძე დაკავშირებულია თავისივე მსგავს უსაქმურებთან და საბჭოთა ადამიანისათვის შეუფერებელი ქცევით არღვევს პატიოსან მშრომელთა მყუდროებას.

მიმდინარე წლის 3 ივნისს ბ. კობახიძემ და ავტომძღოლმა ა. გეგეშიძემ, მთვრალებმა, ჩხუბი ატეხეს სოფლის სასადილოში, დაამტვრიეს სასადილოს კარები, ფანჯრები, მაგიდები, ჭურჭელი და შეურაცხყოფა მიაყენეს მოქალაქეებს. მილიციის მუშაკებმა რატომღაც თავი შეიკავეს ლოთობისა და ხულიგნების წინააღმდეგ რაიმე ზომების მიღებისაგან. 14 ივნისს რაიონის პროკურატურამ განკარგულება გასცა დებოშის ამტეხთა დაპატიმრების შესახებ. მილიციამ არ შეასრულა პროკურორის განკარგულება და ხულიგნებს თავდები შეურჩია. ასეთმა, მეტი რომ არა ვთქვათ, ლიბერალურმა დამოკიდებულებამ კიდევ უფრო გაათავხედა ბ. კობახიძე. მან გამძიფების პროცესში 8 ივლისს იმავე სასადილოში კვლავ ჩაიდინა ხულიგნობა, რის გამო სასადილოში 3-4 საათით შეჩერდა მუშაობა და პატიოსანი მშრომელები უსადილოდ დარჩნენ. მილიციის მუშაკებმა კობახიძე არც ამ დანაშაულისათვის დააპატიმრეს. იგი, როგორც მთვრალი და მომზდარი აყალმაყალის დროს უმნიშვნელოდ დაზიანებული, საავადმყოფოში მოათავსეს.

მომდინარე წლის 15 აგვისტოს ავტომანქანის მძღოლმა მთვრალმა გ. სულაძემ ჩხუბი ატეხა რაიონის ცენტრში, სცემა პატიოსან მოქალაქეებს. მილიციის მუშაკებმა არავითარი ზომები არ მიიღეს ხულიგანი მძღოლის წინააღმდეგ. იმავე დღეს სულაძე ტყიბულის რაიონში გაემგზავრა. მან გზაზე გადაადგო ავტომანქანა, რასაც შედეგად მოჰყვა სამი ადამიანის სიკვდილი და 17-ის მძიმედ დაშავება.

ამბროლაურის საშუალო სკოლადამთავრებულები ზ. ზალკალიანი, ვ. ბოჭორიშვილი და გ. ულიხანოვი ღამის ორ საათზე მთვრალები შეიჭრნენ სასადილოში და გაიტაცეს სასადილოს მუშაკი ქალი. ხულიგნების წინააღმდეგ საჩივარი აღიძრა მილიციისა და პროკურატურის ორგანოებში, მაგრამ დატრიალდნენ გულშემატკივრები, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, ამავე დროს გაზეთ „ბოლშევიკის“ ბიბლიოთეკა

ნათლების განყოფილების გამგე ზ. ზალკალიანი (ზ. ზალკალიანის მამობილი) და საქმე წარმოებით მოსპეა. მფარველობით გათავხედებული ხულიგნები იმავე დღეებში მთვრალები თავს დაესხნენ და სცემეს სოფელ წეში მცხოვრებ ც. მაისაშვილს.

კიდევ მეტი. ხულიგნობის, ყოყოჩობის, გარყვნილების, საზოგადოებრივ ინტერესებზე ძაღლა პირადი ინტერესების დაყენების შემთხვევებს ვხვდებით თვით მილიციისა და პროკურატურის მუშაკთა შორის.

რაჟდენ ჭელიძე დიდი ხანი არ არის რაც ავტოინსპექტორად მუშაობს ამბროლაურის, ონის, ცაგერისა და ლენტეხის რაიონებში. იგი თავს თანამდებობას ბოროტად იყენებს, სისტემატურად ლოთობს, ყოყოჩობს, იარაღით დასდევს მოქალაქეებს. წელს რ. ჭელიძე რევოლვერით სამჯერ დაესხა თავს უდანაშაულო ადამიანებს. რ. ჭელიძემ მტს-ის შოფერს დ. ტურძილაძეს ღამის 12 საათზე ახირებული დავალება მისცა. ტურძილაძე აღამფოთა საბჭოთა მუშაკის ასეთმა საქციელმა. უზომოდ მთვრალმა ჭელიძემ რევოლვერი ესროლა ტურძილაძეს, რომელიც სიკვდილს შემთხვევით გადურჩა. ამ აღმაშფოთებელ ფაქტს არავინ არ გამოხმაურებია. ამ დღეებში ჭელიძემ მტს-ის ავტოცისტერნი, რომელიც გამზადებული იყო ქუთაისში წასასვლელად, თვითნებურად გაიტაცა 25 კილომეტრ მანძილზე, რესტორანში ქეიფი დაიწყო, ხოლო მტს-ის დირექცია მანქანას ამაოდ დაეძებდა. რ. ჭელიძის აღვირახსნილობა იქამდე მივიდა, რომ მას მოქალაქე მ. დავითულიანთან ყავს ორი ბავშვი, მაგრამ ბავშვების მამობაზე უარს აცხადებს და არავითარ დახმარებას არ უწევს მათ. ჭელიძის საკითხი განიხილა პარტიის ამბროლაურის რაიკომის ბიურომ, მაგრამ, არავინ იცის რა მოსაზრებით, მას მხოლოდ საყვედური აკმარეს.

ამბროლაურის მილიციის რაიონული განყოფილების უფროსი ს. არჩვაძე 1951 წლიდან დღემდე სარგებლობს სოფელ სხვავის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის მიერ დამუშავებული 1.200 კვადრატული მეტრი საკოლმეურნეო ვენახით. მოსავალს ყოველწლიურად შინ ეზიდება იმ მოტივით, რომ ეს ვენახი ოდესღაც ეკუთვნოდა მამამისს, რომელიც თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ასურეთში ცხოვრობს. არჩვაძის საკითხიც განიხილა პარტიის რაიკომის ბიურომ, მაგრამ მას მხოლოდ მოსავლის ნაწილი დააწერეს, რომელიც დღემდე არ დაუფარავს.

საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის, ლოთობის, ხულიგნობის, თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და პირადულის საზოგადოებრივზე მაღლა დაყენების შემთხვევები იმის შედეგია, რომ რაიონის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ცუდად იბრძვიან ადამიანის შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების აღმოფხვრისათვის.

გ. ნიკოლაძე.

საუგარი საგუნებისმეტყველო-სამეცნიერო თემაზე

შესაძლებელია თუ არა სიცოცხლე სხვა პლანეტებზე?

მრავალი ასეული წლის წინათ, როდესაც ასტრონომიას ჯერ არ შეეძლო გამოერკვია, როგორი ფიზიკური პირობები არსებობს პლანეტებზე, შესაძლებელი იყო მხოლოდ ცოტად თუ ბევრად მიახლოებითი აზრის გამოტანა პლანეტებზე სიცოცხლის არსებობის შესახებ. მაგრამ უკვე მაშინ ბევრი მოწინავე ადამიანი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დედამიწასა და ადამიანს არ უკავიათ თავისებური, განსაკუთრებული ადგილი სამყაროში, რომ სიცოცხლე შესაძლებელია სხვა პლანეტებზეც.

იტალიელმა მოაზროვნემ ჯორდანო ბრუნომ (1548-1600 წლები) თხზულებაში „უსასრულობის, სამყაროსა და მსოფლიოთა შესახებ“ გარკვევით ჩამოაყალიბა თავისი მოძღვრება იმ სამყაროთა სიმრავლეზე, რომლებზეც სიცოცხლე არსებობს.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსი მეცნიერის მ. ვ. ლომონოსოვის მეცნიერულ დასკვნებს. მან პირველმა დაადგინა პლანეტებისა და დედამიწის ერთიანი ფიზიკური ბუნების ფაქტი. იმ საკითხის სწორად გადაასწყვეტად, შესაძლებელია თუ არა სიცოცხლე სხვა პლანეტებზე, ბევრი გააკეთეს ჩვენი სამშობლოს მეცნიერებმა.

თანამედროვე მოწინავე მეცნიერებამ საბოლოოდ უკუაგდო სხვადასხვა რელიგიური ზღაპრები ზეციერისაგან მიწიერის განსხვავებულობის შესახებ და დაამტკიცა, რომ პლანეტებზე შეიძლება იყონ ცოცხალი არსებანი. ახლა ჩვენ უკვე დანამდვილებით ვიცით, რომ სიცოცხლე ვითარდება ყველგან, სადაც კი არსებობს ამისათვის საჭირო პირობები. ეს პირობებია, კერძოდ, არც ძალიან მაღალი და არც ძალიან დაბალი ტემპერატურა, წყლის არსებობა, ურომლისოდაც არ შეიძლება იყოს სიცოცხლე. ორგანული სიცოცხლის დიდად განვითარებული ფორმებისათვის აუცილებელია გარდა ამისა ჟანგბადი.

ყველა ცოცხალი ორგანიზმის საფუძველია ცილა. ცილამ, რომელიც დედამიწაზე წარმოიშვა მრავალი მილიონი წლის წინათ, დასაბამი მისცა ცოცხალ არსებათა მთელ მრავალფეროვნებას. მაგრამ ქიმიური ელემენტებიდან ცოცხალი ცილის წარმოშობისათვის აუცილებელი იყო აგრეთვე შესაფერისი პირობები. თუ ეს პირობები არსებობს ამა თუ იმ პლანეტაზე, მაშასადამე, სიცოცხლის წარმოშობა იქ შესაძლებელია.

მზის სისტემის პლანეტები ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. განვიხილოთ ამ მხრივ მზის უახლოესი ოთხი პლანეტა—მერკური, ვენერა, დედამიწა და მარსი. მათგან თავისი ზომით უდიდესია დედამიწა. მზესთან ყველაზე ახლო მდებარე პლანეტა მერკური მოცულობით დედამიწაზე 15-ჯერ პატარაა. მერკური ყოველთვის იკარგება მზის სხივებში, რადგან ძალიან ახლოს არის მზესთან. მისი ატმოსფერო მეტად გათხელებულია და თავისი სიმკვრივით უახლოვდება მთვარის ატმოსფეროს.

მერკურის იმ მხარეზე, რომელიც მზისკენ არის მიმართული, ტემპერატურა აღწევს 417 გრადუს სითბოს ცელსიუსით (ამ ტემპერატურაზე ტყვია დნება, წყალი კი შეიძლება იყოს მხოლოდ ორთქლის სახით). ამ პლანეტის მეორე მხარეს (რომელიც დაფარულია მზისაგან) ტემპერატურა ეცემა 150 გრადუსამდე ნულის ზემოთ. ცოცხალ უჯრედს არ შეუძლია აიტანოს ასეთი მაღალი ტემპერატურა და წყლის უქონლობა. ყველაფერი ეს იმას მოწმობს, რომ მერკურიზე საეჭვოა იყონ ცოცხალი არსებანი. ამას ამტკიცებს აგრეთვე ატმოსფეროს თითქმის სრული უქონლობა ამ პლანეტაზე.

პლანეტა ვენერა დაფარულია სქელი ატმოსფეროთი, მზის დისკოს წინ მისი გავლისას ეს ატმოსფერო ჯერ კიდევ 1761 წელს აღმოაჩინა რუსი ხალხის გენიალურმა შვილმა მ. ვ. ლომონოსოვმა. სქელი ღრუბლები, რომლებიც ვენერას ატმოსფეროში მოძრაობენ, ძლიერად არეკლავენ მზის სხივებს. ამიტომ ვენერა გამოირჩევა დიდი სიკაშკაშით, რაც საშუალებას გვაძლევს დღისითაც დავინახოთ ის თეთრი ლაქას სახით. მაგრამ ვენერას სქელი საფარველი მთლიანად ფარავს ჩვენგან მის მყარ ზედაპირს.

სპექტრალურმა ანალიზმა, რომელიც მეცნიერებმა მოახდინეს, ვერ აღმოაჩინა ვენერის ღრუბლების ფენის ზემოთ ვერც თავისუფალი ჟანგბადი, ვერც წყლის ორთქლი. მაგრამ დაადგინა, რომ ვენერის ღრუბლების ფენის ზემოთ მდებარეობს ნახშირჟანგას ფენა. არის თუ არა ამ პლანეტაზე წყალი და ჟანგბადი? ამის თქმა ძნელია.

ხარკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასტრონომიული ობსერვატორიის დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ ვენერის ატმოსფერო დედამიწისაზე უფრო მკვრივია და მისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება თავისი შედგენილობით. ვენერის ღრუბლები, როგორც ჩანს, შედგება მოყვითალო მტვერისაგან. ჟანგბადს და წყლის ორთქლს და, მაშასადამე, აგრეთვე წყლის აუზებს ჩვენ ვერ ვხედავთ.

ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ ვენერის ატმოსფეროში ნახშირმჟავას დიდი რაოდენობით არსებობა იმის დამამტკიცებელია, რომ მის ზედაპირზე არ არსებობს და არც ოდესმე არსებობდა ორგანული სიცოცხლე. მაგრამ ასეთი შეხედულება სწორი არ არის. ვენერაზე სიცოცხლე შეიძლება წარმოშობილიყო გაცილებით უფრო გვიან, ვიდრე დედამიწაზე; იქ გაზრდილმა მეცნიერებმა ჯერ ვერ მოასწრეს ატმოსფეროდან საკმაო რაოდენობით ნახშირმჟავას შეთვისება და ჟანგბადის შესამჩნევი რაოდენობით გამოყოფა. ვენერაზე არის ის პირობები, რომლებიც ოდესღაც (ძალიან დიდი ხნის წინ) იყო აგრეთვე დედამიწაზე და რომლებიც წინ უსწრებდა პირველ უმარტივეს ორგანულ არსებათა წარმოშობას. ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ვენერაზე სიცოცხლე ან ისახება, ან უკვე არსებობს. მაგრამ უდავოა, რომ თუ ამჟამად იქ არიან ცოცხალი არსებანი, ისინი ძალიან უნდა განსხვავდებოდნენ დედამიწის არსებათაგან.

ასტრონომების განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს პლანეტა მარსი, რომელიც თავისი მოცულობით ექვსჯერ ნაკლებია დედამიწაზე. მიუხედავად ამისა, ის ბევრ რამეში ძალიან წააგავს დედამიწას. დღეღამე ამ პლანეტაზე გრძელდება 24 საათს, 37 წუთსა და 22,58 წამს. მარსის ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლუსებზე შემჩნეულია თეთრი პოლარული ქუდები, რომლებიც თოვლისა და ყინულისაგან შედგება. ისინი დიდდებიან ზამთრობით და პატარავდებიან ზაფხულობით. მარსის მოწითალო ზედაპირზე, რომელიც წარმოადგენს სწორ, წმინდა მტვრით დაფარულ უდაბნოს, შესამჩნევია მუქი ლაქები, ეგრეთწოდებული „ზღვები“. ამ „ზღვებში“, რომლებიც დიდ ჭაობებს ან უბრალო ნესტიან ადგილებს წააგავს, წყალი ძალიან ცოტაა.

მარსის ატმოსფერო მნიშვნელოვნად უფრო გათხელებულია, ვიდრე დედამიწისა. მას დაახლოებით ისეთი სიმკვრივე აქვს, როგორიც დედამიწიდან 10-12 კილომეტრ სიმაღლეზე მდებარე ჰაერის ფენებს. გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ მარსის ატმოსფეროში დედამიწის ატმოსფეროსთან შედარებით ჟანგბადი შეადგენს არა უმეტეს 1 პროცენტისა. წყლის ორთქლის რაოდენობა არ აღემატება დედამიწის ატმოსფეროში არსებული მთელი წყლის ორთქლის 5 პროცენტს. მარსის ატმოსფეროს არაჩვეულებრივი გამჭვირვალობის წყალობით ჩვენ შეგვიძლია დაკვირვება ვაწარმოოთ მის ზედაპირზე მომხდარ ბევრ მოვლენებზე. ასტრონომებს, მათ შორის ამ სტატიის ავტორსაც, ხშირად დაუნახავთ ცალკეული ღრუბლები, რომლებიც ამ პლანეტის ზედაპირზე მიქრიან, ნალექები, რომლებიც იწვევენ მარსის ნიადაგის ცოტად თუ ბევრად დიდი ფართობების მნიშვნელოვან გამუქებას და გაბაცებას.

მარსის ატმოსფეროში ხშირად ვხედავთ აგრეთვე მტვრის უზარმაზარ ყვითელ ღრუბლებს, რომლებსაც მის უდაბნო რაიონებში ქარები წარმოშობენ. ეს ღრუბლები ერთი ადგილიდან მეორეზე გადანაცვლებისას ჩვენგან ზოგჯერ ფარავენ მარსის ზედაპირის ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან ნაწილს.

საბჭოთა ასტრონომებმა, კერძოდ გ. ა. ტიხოვმა და ამ სტატიის ავტორმა, მარსის ზოგიერთი მუქი ლაქის — „ზღვის“ — ნაწილებში დაინახეს მკვეთრად გამოხატული მომწვანო-მოლურჯო ფერი. საინტერესოა, რომ ეს ფერები მონაცვლეობენ. გაზაფხულზე, რომელიც მარსის თვითეულ ნახევარსფეროზე რეგულარულად დგება დედამიწის ორ წელიწადში ერთხელ (წელიწადი მარსზე გრძელდება 687 დედამიწის დღეღამეს), ეს ლაქები მომწვანო ხდება, ზაფხულობით ბევრი მათგანი ყვითლდება და ბოლოს გადადის მონაცრისფერო ფერებში. სხვა ლაქები მწვანეებად რჩებიან შემოდგომაზეც და ზამთარშიც. ეს გვაფიქრებინებს, რომ მარსზე არსებობს მცენარეულობა, რომელიც ყვითლდება შემოდგომაზე, და შესაძლებელია აგრეთვე მუდმივ მწვანე მცენარეულობაც — ჩვენი წიწვიანი ხეების მსგავსი.

მარსზე ტემპერატურა (ზოგიერთ რაიონში) ზაფხულობით აღწევს 34 გრადუს სითბოს. საერთოდ კი ამ პლანეტაზე არსებული პირობები მკვეთრად განსხვავდება დედამიწის პირობებისაგან. ეს პირობები უფრო მკაცრი და სიცოცხლისათვის ნაკლებ გამოსადეგია, მაგრამ მაინც ისეთია, რომ იქ სიცოცხლე შეიძლება არსებობდეს. ცნობილია, რომ დედამიწაზე ყველაზე მკაცრი სიცივეები ვერ წუვეტს მცენარეთა და ცხოველთა სიცოცხლეს. დედამიწის ყველაზე ცივ რაიონებშიც კი — ვერხოიანსკსა და იაკუტსკში, სადაც ყინვა აღწევს 60 გრადუსს, არსებობს ცხოველთა და მცენარეთა მრავალფეროვანი და მდიდარი სამყარო. მაგალითად, ციმბირის ჩრდილოეთ რაიონებში, ახალ მიწასა და გრენლანდიის სამხრეთ ნაპირზე აღმოჩენილია დაახლოებით 300 ყვავილოვანი მცენარე.

ჯერ კიდევ 1877 წელს მარსზე პირველად აღმოაჩინეს ეგრეთწოდებული „არხები“. ეს არის ვიწრო, გრძელი ზოლები, რომლებიც გადაჭიმულია ყვითელ უდაბნოებზე და ერთმანეთთან აერთებს მუქ ლაქებს — ზღვებს, ტბებს, ოაზისებს. ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობდა, რომ ეს არხები გათხარეს მარსის ბინადრებმა უდაბნოების მოსარწყავად. მარსზე ამ მუქ წარმონაქმნთა არსებობა მტკიცდება ფოტოგადაღებით. მათი ბუნება ჯერ სავსებით ნათელი არ არის. შესაძლოა ეს იყოს ბუნებრივი წარმონაქმნები — ნაპრალები ან ნარღვევები მარსის ქერქის ზედაფენაში.

მაშ როგორია სიცოცხლე მარსზე? ამას შეიძლება ასე ვუპასუხოთ: დედამიწის ადამიანები, თუ არ ექნათ სპეციალური სასუნთქავი მოწყობილობანი, რომლებსაც მფრინავები იყენებენ დიდ სიმაღლეებზე, იქ არსებობას ვერ შეძლებენ. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მარსზე სიცოცხლე არ არის. იმას, რომ მარსზე არსებობს მცენარეულობა, მოწმობს ბევრი რამ. გარდა ამისა სიცოცხლე ისე მრავალფეროვანია, ცოცხალ ორგანიზმებს კი შეგუების ისეთი დიდი უნარი აქვთ, რომ გამორიცხული არ არის მარსზე რაიმე ცოცხალ არსებათა, დედამიწის ორგანიზმების მსგავსთა, არსებობა.

მზის სისტემის სხვა პლანეტებზე, აგრეთვე მთვარეზე სიცოცხლისათვის პირობები იმდენად შეუფერებელია, რომ იქ ძნელია ცოცხალი არსებანი წარმოიდგინოთ.

ჩვენი მზის სისტემა მსოფლიოს სივრცეში ერთადერთი როდია. ძალიან ბევრი ვარსკვლავი სხვა პლანეტათა სისტემებისათვის მზეს წარმოადგენს. ეჭვს გარეშეა, რომ ბევრ ასეთ პლანეტაზე უნდა იყოს ცოცხალი ორგანიზმების არსებობისათვის ცოტად თუ ბევრად შესაფერისი პირობები.

ამგვარად, ძნელი არ არის იმ დასკვნის გამოტანა, რომ სიცოცხლე არსებობს არა მარტო ჩვენს დედამიწაზე. ეს დასკვნა, რომელიც ემყარება მეცნიერულ მონაცემებს, კიდევ ერთხელ უარყოფს რელიგიურ ზღაპრებს სამყაროს წარმოშობისა და დედამიწისა და ადამიანის განსაკუთრებული ადგილის შესახებ სამყაროში.

ნ. ბარაბაშევი,
უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ხარკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასტრონომიული ობსერვატორიის დირექტორი.

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია რუმინეთში

ბუქარესტი, 27 აგვისტო. (საკდესი). გუშინ საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრებმა — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ფ. შვერნიკმა და მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. ი. რუდმა ინახულეს სტალინის ოლქის სოფელ ხერმანის ტუღორ ვლადიმირესკუს სახელობის კოლექტიური სოფლის მეურნეობა, ამავე სოფლის რობა ლუქსემბურგის სახელობის საოჯახო ავეჯის წარმოების კოოპერატივი და უნგრეთის ავტონომიური ოლქის სოფელ ილიენის კოლექტიური სოფლის მეურნეობა „სოციალიზმის გზა". საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრები ესაუბრნენ კოლექტიურ მეურნეობათა წევრებს, რომლებმაც მათ უამბეს როგორც კოლექტიური, ისე თავიანთი პირადი მეურნეობის განვითარებაზე.

ნ. ფ. შვერნიკსა და გ. ი. რუდს ახლდნენ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. გეორგიუ-დეჟი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. მოგიორორნი, პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს მდივანი ლ. კიშინევსკაია, სოფლისა და სატყეო მეურნეობის მინისტრი კ. პოპესკუ და სსრ კავშირის ელჩი რუმინეთში ლ. გ. მელნიკოვი.

საბჭოთა დელეგაცია გაემგზავრა დღესასწაულზე ბრატისლავაში

ბრატისლავაში სლოვაკთა სახალხო აჯანყების მე-10 წლისთავის დღესასწაულზე გაემგზავრა საბჭოთა დელეგაცია, რომელშიც შედიან ჰიტლერელ დამპყრობთაგან სლოვაკეთის განთავისუფლების ყოფილი მონაწილეები.

დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის სლავთა კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი ს. ა. კოვპაკი.

ბერლინის მშრომელთა მიგზინგი

ბერლინი, 27 აგვისტო. (საკდესი). გუშინ ბერლინში გაემართა მიტინგი, რომელიც მოაწყო დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს ბერლინის კომიტეტმა. მიტინგს დაესწრნენ ქალაქის ორივე სექტორის მშრომელები.

გერმანიის მშვიდობისა და ერთიანობისათვის დასავლეთ-გერმანელ მებრძოლებს ოსკარ ნაიმანს, კარლ დიკელსა და ემილ ბეხტლეს, რომლებიც მიტინგზე გამოვიდნენ, დამსწრეები გულთბილად შეხვდნენ. მათ ილაპარაკეს იმის შესახებ, თუ როგორ იბრძვიან დასავლეთ გერმანიის მშრომელები მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ, და ამხილეს მათ წინააღმდეგ ბონის ხელისუფალთა მიერ დაწყებული სასამართლო პროცესის ანტიკონსტიტუციური ხასიათი.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს ბერლინელებს კიდევ უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის განმეკიცებაში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის მომავალი არჩევნებისათვის მზადებაში.

ჰულის დოკერების გამარჯვება

ლონდონი, 27 აგვისტო. (საკდესი). ჰულის დოკერების გაფიცვა, რომელიც 10 დღეს გრძელდებოდა, დღეს გაფიცულთა გამარჯვებით დამთავრდა. ნავსადგურის ადმინისტრაცია დათანხმდა დაკმაყოფილოს დოკერების მოთხოვნა შრომის პირობების გაუმჯობესების შესახებ.

გერმანიის კომპარტიის გამგეობის ღია წერილი გუნდესტაგის დეპუტატებისადმი

ბერლინი, 27 აგვისტო. (საკდესი). როგორც ადნ-ის საგენტო გადმოგვცემს, გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობამ ღია წერილი გაუგზავნა დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგის დეპუტატებს. წერილში, კერძოდ, ნათქვამია:

„გერმანიის ერთი ნაწილის შეყვანა რომელიმე სამხედრო ბლოკში, მიუხედავად იმისა, მოხდება ეს ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, თუ რაიმე სხვა გზით, გამოიწვევს გერმანიის გათიშვის გაღრმავებას, ხელს შეუწყობს გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებას, საფრთხეს შეუქმნის ევროპის ხალხებისა და ჩვენი ხალხის მშვიდობიან არსებობას.

ევროპის თანბირზე ურთიერთგაგების პოლიტიკის წარმატება და ევროპის თავდაცვითი გაერთიანების ხელშეკრულების შესახებ ბრიუსელის თანბირის ჩაშლა გარდუვალად აყენებს ფედერალური რესპუბლიკის წინაშე მისი პოლიტიკის კურსის შეცვლის საკითხს. ბუნდესტაგის დეპუტატებმა უყურადღებოდ არ უნდა დატოვონ იმ პოლიტიკისადმი მზარდი უნდობლობის ფაქტი, რომელსაც ბონი ახორციელებს.

საბჭოთა კავშირის მთავრობის 1954 წლის 24 ივლისის ნოტა და 4 აგვისტოს განცხადება ჩვენს ხალხს უქმნის გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანების ახალ შესაძლებლობას. ევროპის ყველა სახელმწიფოს კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა, მათი საზოგადოებრივი წყობის მიუხედავად, შეამცირებს ომის საფრთხეს ევროპაში და ამით შექმნის შეიარაღების შემცირების, აგრეთვე იმ ატომური იარაღის აკრძალვის წინაპირობებს, რომელიც კაცობრიობას ემუქრება. კოლექტიური უშიშროების ასეთ სისტემაში გერმანიის, როგორც თანასწორუფლებიანი ნაწილი, მონაწილეობა შექმნის გაერთიანებული გერმანიის ხელმწიფოს მშვიდობიანი განვითარების საფუძველს.

ეჭვი არ არის, რომ საჭიროა გერმანიის საკითხზე დამყარდეს ოთხი დიდი სახელმწიფოს ურთიერთგაგება. ამიტომ დასავლეთ გერმანიის პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს ყველა მოსწრაფებას ამ საკითხზე შეწყვეტილი მოლაპარაკების განახლებისადმი. გერმანიის ერთიანობის აღდგენისათვის და ერთიანი გერმანიის სახელმწიფოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მიღწევისათვის გადამწყვეტი ის არის, რომ გერმანელებმა აღმოსავლეთსა და დასავლეთში თვითონ მიაღწიონ ურთიერთგაგებას.

ამიტომ ჩვენ მივმართავთ ბუნდესტაგის ყველა დეპუტატს მოწოდებით დაუყოვნებლივ მიიღონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის 1954 წლის 4 აგვისტოს წინადადება და იმოქმედონ ამ წინადადების სულისკვეთებით. ეს წინადადება გულისხმობს შემდეგ ღონისძიებებს:

1. გაიგზავნონ თანასწორუფლებიანი წარმომადგენლები გერმანიის ორივე ნაწილიდან გერმანიის საკითხის შესახებ თათბირზე, რომლის მოწვევასაც საბჭოთა მთავრობა მოითხოვს.

2. დაინიშნონ ფედერალური რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენლები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებთან ერთად ჩვენი ხალხის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებზე სრულიად გერმანიის თვალსაზრისის შესამუშავებლად.

3. არ იქნეს არავითარი შემდგომი ცდა ევროპის თავდაცვითი გაერთიანების ან რაიმე სხვა ფორმის სამხედრო ბლოკების შექმნისა დასავლეთ გერმანიის მონაწილეობით.

4. დაუყოვნებლივ გადაიდგას ნაბიჯები, რათა ფედერალური რესპუბლიკისთვისაც მიღწეულ იქნეს სრული სუვერენიტეტი, იგულისხმება უარყოფა ბონის ხელშეკრულებისა, რომელიც არ შეესაბამება ფედერალური რესპუბლიკის სუვერენიტეტს".

საფრანგეთის კავშირის კრებამ უარყო ხელშეკრულება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შესახებ

პარიზი, 27 აგვისტო. (საკდესი). საფრანგეთის კავშირის (ორგანო, რომელიც სანახევროდ შედგება მეტროპოლიის წარმომადგენლთაგან, ხოლო სანახევროდ — „ზღვისიქითა ტერიტორიებისა" და „მიმხრობილ სახელმწიფოთა" წარმომადგენლებისაგან; კრებას აქვს სათათბირო ფუნქციები და თავის აზრს გამოთქვამს საფრანგეთის ეროვნულ კრებისა თუ მთავრობის კანონშოფქტებზე, რომლებიც ეხება საფრანგეთის კავშირის პრობლემებს) კრებამ 100 ხმით 68 ხმის წინააღმდეგ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც გამოთქვა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაციისადმი. გააკეთა რა მოხსენება საგარეო ურთიერთობის კომისიების სახელით, ბერტომ განაცხადა, რომ ხელშეკრულება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შესახებ თავისი მიზნებითა და ხასიათით ზიანს აყენებს „საფრანგეთის კავშირის მორალურ და მატერიალურ დარაზმულობასა და მის შენარჩუნებას". ბერტომ მოითხოვა უარყოფილ იქნას ხელშეკრულება.

გამოვიდა რა თავდაცვის კომისიის სახელით, გუიომაც მოითხოვა არ დამტკიცდეს ხელშეკრულება იმ საფუძვლით, რომ მის მიღებას შეუძლია დაარღვიოს საფრანგეთის კავშირის შეიარაღებულ ძალთა ერთიანობა.

სახალხო აჯანყების მეათე წლისთავი სლოვაკიაში

პრაღა, 27 აგვისტო. (საკდესი). 28 და 29 აგვისტოს ჩეხოსლოვაკიის მშრომელები დღესასწაულობენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ სლოვაკთა სახალხო აჯანყების მე-10 წლისთავს.

აღნიშნავს რა სახელოვან თარიღს, სლოვაკი ხალხი აჯამებს სლოვაკიაში გაჩაღებული სოციალისტური მშენებლობის შედეგებს.

პირველ ხუთწლედში (1949-1953 წწ.) სამრეწველო წარმოების მოცულობა სლოვაკიაში 1937 წელთან შედარებით გადიდდა 475 პროცენტით, ხოლო წარმოების საშუალებათა წარმოება — 6-ჯერ და უფრო მეტად, იგი ახლა შეადგენს 55 პროცენტს სლოვაკიის საერთო სამრეწველო წარმოებაში.

სლოვაკი მუშები, რომელთა რიცხვიც სახალხო-დემოკრატიული ხელისუფლების წლებში ერთისამად გადიდდა, ახლა წარმატებით იმზადებენ შახტების მოწყობილობას, ელექტრომოტორებს, სამდინარო ბუქსირებს, სამგზავრო გემებს, სახარატო ჩარხებს, ბურთულსაკისრებს — ყველაფერს, რასაც წინათ აგრარულ სლოვაკიაში არ აწარმოებდნენ.

ახლა სლოვაკიაში ომამდელ პერიოდთან შედარებით აწარმოებენ ელექტროენერგიას — 4-ჯერ, ქიმიური მრეწველობის ნაწარმს — 10-ჯერ და სამენ მასალებს — 4-ჯერ მეტს. მანქანათმშენებლობისა და მეტალურგიის პროდუქციის მოცულობა სახალხო ხელისუფლების წლებში 7-ჯერ გაიზარდა. სწრაფად ვითარდება მსუბუქი მრეწველობა. სლოვაკიაში უშვებენ 4-ჯერ მეტ საფეიქრო მრეწველობის ნაწარმს, 5,5-ჯერ მეტ ტყავეულობის პროდუქციასა და 8-ჯერ მეტ კვების მრეწველობის ნაწარმს, ვიდრე ომამდელ წლებში.

საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა დელეგაცია გაემგზავრა საერთაშორისო საქალაქაო ფედერაციის კონგრესზე

27 აგვისტოს მოსკოვიდან პოლანდიაში საერთაშორისო საქალაქაო ფედერაციის მორიგ კონგრესში მონაწილეობისათვის გაემგზავრა საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა დელეგაცია საერთაშორისო საქალაქაო ფედერაციის ვიცეპრეზიდენტის გროსმაისტერ ვ. რაგოზინის, ქალაქში ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონის საერთაშორისო ოსტატის ე. ბაკოვას და გროსმაისტერ ს. ფლორის მეთაურობით.

კონგრესი გაიხსნება ამსტერდამში 28 აგვისტოს. (საკდესი).

ევროპის პირველობა მძლეოსნობაში

ბერნი, 26 აგვისტო. (საკდესი). ევროპის პირველობაზე მძლეოსანთა შეჯიბრებაში საუკეთესო შედეგები სამმაგ ხტომაში უჩვენა საბჭოთა სპორტსმენმა ლ. შჩერბაკოვმა (15,90 მეტრი), რომელმაც მოიპოვა ევროპის ჩემპიონის წოდება. მეორე ადგილი დაიკავა ნორმანმა (შვეცია) — 15,17 მეტრი, მესამე ადგილი რეაკმა (ჩეხოსლოვაკია) — 15,10 მეტრი.

ათი ათას მეტრზე სიარულში პირველი ადგილი და ევროპის ჩემპიონის წოდება მოიპოვა დოლეჟამა (ჩეხოსლოვაკია). მისი დროა 45 წუთი და 01,8 წამი. მეორე ადგილი დაიკავა ეგოროვმა (სსრ კავშირი), რომლის დროა 45 წუთი და 53,0 წამი და მესამე ადგილი — ლობასტოვმა (სსრ კავშირი) — 46 წუთი და 21,8 წამი.

დღეს ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები გადაეცათ შუბის ტყორცნაში, მარათონის რბენაში, 10 კილომეტრზე სიარულსა და სამმაგ ხტომაში გამარჯვებულთ.

სტადიონი მეუხარე ტაშით შეხვდა საბჭოთა სპორტსმენს ფილინს, რომელსაც აგრეთვე გადაეცა ოქროს მედალი.

ბერნი, 27 აგვისტო. (საკდესი). შეჯიბრებაში ევროპის პირველობაზე მძლეოსნობაში მიღწეულია შემდეგი შედეგები სპორტის სამი სახეობის მიხედვით: ქალთა შორის სიგრძეზე ხტომაში პირველი ადგილი და ევროპის ჩემპიონის წოდება მოიპოვა დეფორმმა (ინგლისი) — 6 მეტრი და 04 სანტიმეტრი. მეორე ადგილი დაიკავა საბჭოთა სპორტსმენმა ჩუდინამ; მისი შედეგია 5 მეტრი და 93 სანტიმეტრი. მესამე ადგილი დაიკავა ლუნსკამ (პოლონეთი) — 5 მეტრი და 83 სანტიმეტრი.

100 მეტრზე რბენის შედეგები (ვაჟები): პირველი ადგილი და ევროპის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ფიუტერერმა (დასავლეთი გერმანია), მისი დროა 10,5 წამი, მეორე ადგილი დაიკავა ბონნონმ (საფრანგეთი) — 10,6 წამი, მესამე ადგილი — ელისმა (ინგლისი) — 10,7 წამი.

ქალთა შორის ბირთვის ტყორცნაში პირველი სამი ადგილი დაიკავეს საბჭოთა სპორტსმენებმა, შესაბამისად — ზიბინამ, კუზნეცოვამ და ტიშკევიჩმა.

შეჯიბრება ევროპის პირველობაზე აკადემიურ ნიჩბოსნობაში ვაჟთათვის

ჰააგა, 27 აგვისტო. (საკდესი). როგორც უკვე ეიუწყებოდით, გუშინ ამსტერდამის მიდამოებში დაიწყო შეჯიბრება ევროპის პირველობაზე აკადემიურ ნიჩბოსნობაში ვაჟთათვის (დისტანცია 2.000 მეტრი).

შვიდივე საჯიბის ნავების წინასწარი გაცურვის შედეგად ნახევარფინალში გავიდნენ საბჭოთა ოთხიანი მესაჯიანად და რვიანი.

27 და 28 აგვისტოს გაიმართა ნახევარფინალური და ეგრეთწოდებული „სანუგეშებელი" გაცურვა იმ გუნდებისათვის, რომლებმაც წინასწარ შეჯიბრებებში წააგეს.

ფინალური შეჯიბრება გაიმართება 29 აგვისტოს.

ლენინგრადი. მოსწავლეთა პირველი სრულიად საკავშირო სპარტაკიადა. **სურათზე:** რსფსრ და საქართველოს სსრ ჭაბუკ კალთბურთელთა გუნდების შეხვედრა. შეხვედრა მოიგო საქართველოს გუნდმა.

ფოტო ნ. ნაუმენკოვისა და ვ. ფეოდოსეევისა.

„კოლმეურნის" პირველობა

ქუთაისი. (ხაკ. კორ.). აქ დამთავრდა ფინალური შეჯიბრება ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „კოლმეურნის" საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პირველობაზე ფეხბურთში, რაც ერთ კვირას გაგრძელდა.

შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გამოვიდა გასული წლის ჩემპიონი — ქობულეთის გუნდი, რომელმაც ათი შესაძლებლიდან 9 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილზე გამოვიდა ლანჩხუთის, ხოლო მესამეზე — მახარაძის გუნდი.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ქობულეთის ფეხბურთელთა გუნდს მეორედ გადაეცა „კოლმეურნის" რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი თასი, ხოლო გუნდის წევრებს სიგელები.

ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი უშვებს ქართული ლიტერატურის ისტორიას ოთხ ტომად.

პირველი ტომი, რომელიც უკვე გამოვიდა, შეიცავს ძველი ლიტერატურის ისტორიას XIX საუკუნემდე, მეორე ტომში შედა XIX საუკუნის ლიტერატურა, მესამეში — საბჭოთა პერიოდის ლიტერატურის ისტორია, ხოლო მეოთხე ტომში — ქართული ფოლკლორის განხილვა. პირველ ტომში შესული მასალების ავტორები არიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი კ. კეკელიძე და აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფესორი ა. ბარამიძე.

* * *

წარმოებაში გადაცემულია და მიმდინარე წელს გამოვა ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ორგანოს „ლიტერატურული ძიებანი" IX ტომი.

ტომში სხვა საყურადღებო წერილებსა და ნარკვევებთან ერთად ქვეყნდება 20 ახლადმოპოვებული დოკუმენტი დიდი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის შესახებ.

თბილისის ზოოპარკში

აგვისტოს პირველ რიცხვებში მონადირე შოთა არაბული ნადირობიდან ბრუნდებოდა. საღამო იყო. ყაზბეგიდან 28 კილომეტრის დაშორებით ერთ-ერთი მთის კალთაზე მან შეამჩნია, რომ ჯიხვს მგელი მისდევდა. მონადირე ცხენით დაედევნა მათ. მგელი ის იყო დაეწია ჯიხვს და კბილი გაჰკრა, რომ ამ დროს გავარდა არაბულის თოფი. მგელმა თავი დაანება მსხვერპლს და ტყეს მიაშურა, ჯიხვი კი მონადირემ შეიპყრო. ცხოველს მალე შეუხორცდა მგლის ნაკბილარი.

ამ დღეებში ჯიხვი ზოოპარკში მოიყვანეს. აღსანიშნავია, რომ ზოოპარკს ამ ბოლო დროს ჯიხვი არ ჰყავდა.

საქართველოს ფაუნის ეს მეტად ძვირფასი წარმომადგენელი ტყვეობას ადვილად ეგუება. იგი დაახლოებით 15 წელს ცოცხლობს.

შინაურ თხასთან შეჯვარებით ჯიხვი იძლევა ჰიბრიდს, რომელიც ზომა-წონით მშობლებს სჯობობს.

ალ. ივარდავა.

საქართველოს პირველობა

ერთი თვის შესვენების შემდეგ დაიწყო ფეხბურთში საქართველოს პირველობის გათამაშების მეორე წრე.

ჩინებულად ჩაატარა პირველი ტურის შეხვედრა რუსთავის ახალგაზრდა გუნდმა „მეტალურგმა", რომელმაც დაამარცხა სოხუმის „დინამოს" გუნდი ანგარიშით 4:1. ბორჯომის „სპარტაკის" და შეჯიბრების ლიდერის — ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ 1:1. ზუგდიდის „კრასნაია ზვეზდაზე" ფეხბურთელებმა მოიპოვეს გამარჯვება ბათუმის დინამოელებზე ანგარიშით 3:1. ფოთის ნაკრებმა გუნდმა ანგარიშით 3:2 დამარცხა თბილისის 26 კომისრის რაიონის ფეხბურთელთა კოლექტივი. ქუთაისის „დინამოს" სპორტსმენებმა ანგარიშით 2:1 მოუგეს მახარაძის „კოლმეურნის" გუნდს.

კვირას, 29 აგვისტოს, შედგება გათამაშება მეორე წრის მეორე ტური.

სასამართლო ქრონიკა

„ცოომილი ვარსკვლავები"

ამ სათაურით „კომუნისტის" 12 მაისის ნომერში დაიბეჭდა ფელეტონი, რომელშიც ცხოლებული იყო სხვის ჯიბეებში ხელის ფათურში დაოსტატებულის, ქუთაისის მცხოვრებ გივი ივანეს-ძე ბრეგაძის და მისი შესაიდუმლოს ქ. თბილისის მცხოვრებ აფრასიონ მიხეილის-ძე ჩხიკვაშვილის ყალთაბანდობა.

ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნილი ეს ორი „ცოომილი" დაუკავშირდა თბილისის მცხოვრებ ალეკოკატ ეგგრაფი იოსების-ძე ჯიჯეიშვილს... შეთანხმდნენ და შეადგინეს ხელწერილი, თითქოს ქუთაისის მცხოვრებ მარიან შაბათას ასულ ქვიტიაშვილის ოჯახს გ. ბრეგაძის მამისა ემართა 85 ათასი მანეთი. ამ „ხელწერილით" ისინი შეეცადნენ ქვიტიაშვილების ოჯახისათვის წაეგლეჯათ ფული, მაგრამ მათი განზრახვა მალე გამოირკვა.

ამას წინათ ქუთაისის ქალაქის მეხუთე უბნის სახალხო სასამართლომ ამნ. ბ. ჩეჩელაშვილის თავმჯდომარეობით განხილა თაღლითების საქმე. სასამართლომ ბრეგაძეს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა სამი წლით, ხოლო ჯიჯეიშვილსა და ჩხიკვაშვილს — ორ-ორი წლით.

ს. ბეგეშვილი.

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება

1954 წლის 31 აგვისტოს საღამოს 9 საათზე მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დიდ დარბაზში (რუსთაველის პრ. № 29) აწყოს საზოგადოების ნამდვილი წევრის, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის **ი. დ. კოკლამაზაშვილის** საჯარო ლექციას (რუსულ ენაზე): **„საბჭოთა ვაჭრობა მოთხოვნილების საგნების განაწილების ძირითადი ფორმაა სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის პერიოდში".**

რედაქტორის მოადგილე
რ. ძურაბიკიძე.

თბილისის „დინამოს" სტადიონი

1 სექტემბერს

ფეხბურთი

საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა

ვარშავა (ნაკრები) — თბილისი (დინამო)

დასაწყისი 5 ს. 45 წუთი.

ბილეთები წინასწარ გაიყიდება 30 აგვისტოდან სტადიონის სალაროებში

ძმა ნიკოლოზ, რძალი ანა, ძმისწულები ეკატერინე, ვანო, ალექსანდრე ფანიაშვილები, დისწული ლიზა ფირაშვილი ოჯახებით **იუწყებიან მიხეილ ივანეს-ძე ფანიაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 29, 30-VIII, 8 ს. გამოსვენება 31-VIII, 6 ს. ჯანაშიას ქ. №11/18.

დედა კონა, მეუღლე თამარ, შვილები ალბერტ, ევგენია, ცოლისდა ლუბა, ძმისწულები იაგო, ზაირა იუწყებიან **დავით სეფეს-ძე ჭიჭინაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 29, 30-VIII, 8 ს. გამოსვენება 31-VIII, 5 ს. ბრძოლის ქ. № 44.

მეუღლე ევა, შვილი ოლია, სიძე ვალოდია, შვილიშვილები ციციონი და კობა ჭაბუკიანები იუწყებიან **იაკობ ივანეს-ძე ალიოხინის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 29-VIII, 8 ს. გამოსვენება 31-VIII, 6 ს. ორჯონიკიძის ქ. № 36.

შვილი გიორგი პერესტროიკა, რძალი თამარ ნაკაშიძე იუწყებიან **ნინო ივანეს ასულ მაჩაბელი-პერესტროიკის** გარდაცვალებას. გამოსვენება 31-VIII, 6 ს. კალანდაძის ქ. № 1-ბ.

მეუღლე მანია, შვილები მიხეილ, ვალოდია ოჯახით, შვილიშვილები ქარა, ედიკ, ლება, დები ვარა და მარიამ, რძალი მარიამ შვილებით იუწყებიან **ივანე ალექსანდრეს-ძე ამილოვის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 29, 30, 31/VIII, 1-IX, 8 ს. გამოსვენება 2-IX, 6 ს. კოტე ფეფხის ქ. № 13.

მშობლები ნინო, ბაგრატ, ძმები თენგიზ, ნოდარ, და ლიანა, რძლები მერი, ლამარა, ძმისწულები გურამ, ნუგზარ, მარინე იუწყებიან **უშანგი ბაგრატის-ძე ადამაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 29, 30-VIII, 8 ს. გამოსვენება 31-VIII, 6 ს. ხუდადოვის ქ. № 15.

მეუღლე თამარ, შვილი თამაზ, დედა ანიჩკა, მამა მელიტონ, ძმა ერასტი, დები ნადია და ნინო, რძალი ოლგა კვიჭიძეები, სიდედრი ელენე, ცოლისძმა აკაკი, ცოლისდები ნუცა და ეთერ ბაღდავაძეები იუწყებიან **გრიგოლ მელიტონის-ძე კვიჭიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 31-VIII სოფ. აცანაში (ლანჩხუთის რ.).

თბილისის I ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს და ბავშვთა ინფექციური კლინიკის თანამშრომლები იუწყებიან **მიხეილ სერგის-ძე ჟღენტის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 31-VIII ს. კვალითში (ზესტაფონის რ.).

მეუღლე გიგა ლოსაბერიძე, დები კატო, ოლია, ძმები გერმოგენ, ამბროსი, რძლები ევა, ნინო ბერეგავაძეები ოჯახებით იუწყებიან **ნინო სპირიდონის ასულ ბერეგავაძე-ლოსაბერიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 29, 30-VIII, 8 ს. გამოსვენება 31-VIII, 6 ს. ათარბეგოვის ქ. № 23.

მარცხენა ნაპირის თბილკვებავაჭრობის დირექციის თანამშრომლები იუწყებიან **მართა სოლომონის ასულ მგელაძის** გარდაცვალებას.

საერთაშორისო მიმოხილვა

ფრანგი ხალხი პარიზის ხელშეკრულების წინააღმდეგია

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში მიმდინარეობს განხილვა პარიზის ხელშეკრულებისა „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შექმნის შესახებ. ამასთან დაკავშირებით საფრანგეთის ფართო საზოგადოებრიობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საფრანგეთი თავისი ისტორიის განსაკუთრებით პასუხსაგებ პერიოდს განიცდის. „დადგა გადამწყვეტი ბრძოლის ჟამი, — აცხადებს სპეციალურ კომუნიკეში საფრანგეთის მშვიდობის ეროვნული საბჭოს მუდმივი კომისია — ორი წლის განმავლობაში ფრანგი ხალხი ეფექტიანად იბრძოდა ამ ღონისძიების (პარიზის ხელშეკრულების რატიფიკაციის — პ. გ.) წინააღმდეგ. დღეს ყოველმა ფრანგმა საჯაროდ უნდა დაადასტუროს თავისი აზრი და იბრძოლოს ერის მტკიცე ერთიანობისათვის საფრთხის წინაშე".

ამ საფრთხედ ფრანგ პატრიოტებს მიაჩნიათ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეებისა და მათი აგენტურის მისწრაფება — აიძულონ ეროვნული კრება დაამტკიცოს პარიზის ხელშეკრულება და ამით საფრთხე შეუქმნას თვით საფრანგეთის, როგორც დიდი სახელმწიფოს, არსებობას.

ცნობილია, რომ „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შესახებ ხელშეკრულების უმნიშვნელოვანესი დებულება ის არის, რომ დასავლეთ გერმანიაში აღორძინდეს გერმანიის მილიტარიზმის აგრესიული ძალები ეგრეთწოდებული „ევროპის არმიის" ალმით. „ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების დამტკიცების ექვსი თვის შემდეგ უზრუნველყოფილ იქნას გერმანიის არმიის ჩამოყალიბება მილიონზე მეტი კაცის რაოდენობით", — აღნიშნავს საფრანგეთის ყოველკვირეული სამხედრო ორგანო „ვი მილიტერი". დასავლეთ გერმანიაში მზადდება ჰიტლერული ტიპის არა 12, არამედ 60 გერმანული დივიზიის შექმნა. მაგრამ „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" გეგმები ითვალისწინებენ აგრეთვე მთელ რიგ სხვა ღონისძიებებს, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საფრანგეთს და პარიზის ხელშეკრულების დანარჩენ მონაწილეებს.

ამ ხელშეკრულების თანახმად „ევროპის არმიის" შექმნასთან ერთად უნდა ჩამოყალიბდეს ეგრეთწოდებული „ზესახელმწიფოებრივი გაერთიანება" ექვსი ქვეყნისა (საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ჰოლანდია, ლუქსემბურგი და დასავლეთი გერმანია), რომელთაგან განზრახულია შეიქმნას „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება". „გაერთიანების" უმაღლეს ორგანოდ განზრახულია შექმნას ეროვნული „კომისარიატი", რომელიც დამოკიდებული იქნება მხოლოდ ატლანტიკის სამხედრო დაჯგუფების შეიარაღებული ძალების ამერიკელ მთავარსარდალზე. ამ „კომისარიატმა", როგორც ხელშეკრულება ითვალისწინებს, უნდა გადაჭრას ისეთი საკითხები, რომლებიც შეადგენს, კერძოდ, საფრანგეთის მთავრობისა და პარლამენტის კომპეტენციას. ხელშეკრულების 87-ე მუხლი „კომისარიატს" ანიჭებს უფლებას განსაზღვროს „გაერთიანების" ქვეყნების, მათ შორის საფრანგეთის, სამხედრო ბიუჯეტი, ხოლო 31-ე მუხლი — დაწესოს მთელი რიგი უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობის პირნი. მე-14 მუხლის მიხედვით საფრანგეთს უფლება არ ექნება გამოიყენოს თავისი შეიარაღებული ძალები, თუ ნებას არ დართავენ „კომისარიატი" და ატლანტიკის სამხედრო დაჯგუფების შეიარაღებული ძალების ამერიკელი მთავარსარდალი. ამავე დროს „კომისარიატს" ენიჭება უფლება საფრანგეთის ტერიტორიაზე განალაგოს უცხოეთის ჯარები (ხელშეკრულების 77-ე მუხლი). ეს იმას ნიშნავს, რომ „კომისარიატს", თუ საფრანგეთმა დაამტკიცა ხელშეკრულება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შესახებ, შეეძლება შეიყვანოს საფრანგეთის ტერიტორიაზე გერმანელი რევანშისტების ჯარები. შემთხვევითი როდია, რომ დასავლეთ გერმანიის რევანშისტული გაზეთი „ტაგი", არჩევდა რა, მისი სიტყვით, პარიზის ხელშეკრულების „ღირსებებს", ამას წინათ წერდა: „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება საჭიროა იმისათვის, რომ წესრიგი დამყარდეს საფრანგეთში..." ადვილი წარმოსადგენია, თუ საფრანგეთის რა „წესრიგზე" ოცნებობს ნახევრადფაშისტური ფურცელი.

„ევროპის თავდაცვითი გაერთიანება", თუ იგი შეიქმნა, წაართმევს საფრანგეთს (ისევე როგორც „გაერთიანების" სხვა ხუთ ქვეყანას), ეროვნულ სუვერენიტეტსა და სახელმწიფო დამოუკიდებლობას. ისეთი ფრანგი მოღვაწეც კი, როგორიც არის გენერალი დე გოლი, არჩევს რა „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ხაზგასმით აღნიშნავს: „უნდა შეეგნონთ, რომ ეს აბსურდი (ე. ი. ხელშეკრულება — პ. გ.) რომ დამტკიცდეს, იგი საფრანგეთს ნახევარი საუკუნით და, მაშასადამე, სამუდამოდ წაართმევს იმის შესაძლებლობას, რომ თავისუფლად განაგოს თავისი ბედი". ინგლისური ჟურნალი „რაუნდ ტეიბლი" კი იმ დასკვნამდე მიდის, რომ „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" ფარგლებში აღორძინებული გერმანია ან უმცროს პარტნიორად გაიბღალ საფრანგეთს, ან ერთ დროს კვლავ დაიპყრობს და დაიკავებს მას".

ფრანგმა ხალხმა ღრმად შეიგნო, თუ რა საფრთხე მოელის მას და მის ქვეყანას. პროტესტები „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" წინააღმდეგ საფრანგეთში ნამდვილი საყოველთაო-სახალხო მოძრაობა გახდა. ფრანგი ხალხის დიდი უმრავლესობის განწყობილება მშვენივ